პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ

ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1976 პარასკევი 1 ოქტომბერი № 231 (16661) ფასი 2 კაპ. 1976

ცოდნის პრაქტიკასთან კავშირით

ღეს იწყება ახალი სასწავლო წელი პარტიული განათლების სისტემაში. ჩვენი მშრომელების, სკკპ წევრების წინაშე კიდევ ერთხელ დგება საბრძოლო ამოცანა — ღრმად დაეუფლონ მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლებს, შეიარაღდნენ ეკონომიური ცოდნით, ხელი პარტიულ ორგანიზაციებს, მათ ხელმძღვანელებს, პროპაგანდისტებს ეკისრებათ ხაპატენი მისია — ყოველნაირად შეუწყონ ხელი მასების პოლიტიკურ და ეკონომიურ განათლებას, მაღალ დონეზე წარმართონ მეცადინეობები მთელი სასწავლო წლის განმავლობაში.

ჩვენი ხალხის ცხოვრებაში ამ მნიშვნელოვან ღონისძიებაზე რომ ვლაპარაკობთ, არ შეიძლება პრაქტიკულად კვლავაც არ გამოვიყენოთ წინა წლებში დაგროვებული დიდი გამოცდილება, ანგარიში არ გავუწიოთ იმ თვალსაჩინო მიღწევებს, რომელთა ანალიზი და შედეგები უფრო ნათელს და კონკრეტულს ხდის ჩვენს სამოქმედო ასპარეზს.

ამ მხრივ საყურადღებოა ის შუშაობა, რაც გასულ სასწავლო წელს პარტიული განათლების სისტემაში გასწიეს პარტიულმა ორგანიზაციებმა და პროპაგანდისტებმა. ეს წელი დაემთხვა ისეთ საეტაპო მოვლენებს, როგორიც არის სკკპ და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობები, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 22 ივნისის ისტორიული დადგენილება „თუ როგორ ასრულებს საქართველოს პარტიული ორგანიზაცია სკკპ ცენტრალური კომიტეტის 22 ივნისის ისტორიული დადგენილება „თუ როგორ ასრულებს საქართველოს პარტიული ორგანიზაციები

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

მეცხოველეთა შრომის სჯიმულირების დიდმნიშვნელოვანი საშუალება

(დასასრული)

და 85-90 ხბოს მიღებისათვის — **1,5 კილოგრამი** ხორცი (ცოცხალი წონა) ყოველ მიღებულ ხბოზე;

ბ) მეწველი პირუტყვის მომვლელ მესაჭონლეს, მისთვის მიჩენილ ძროხებსა და უშობლებზე ნამატის 80-85 პროცენტის მიღებისა და შენარჩუნებისათვის — **1 კილოგრამი** ხორცი (ცოცხალი წონა) ყოველ ხბოზე, და 85 პროცენტზე მეტი ნამატის მიღებისათვის **1,5 კილოგრამი** ხორცი (ცოცხალი წონა) ყოველ ხბოზე, აგრეთვე ზეგეგმითი რძის **2 პროცენტი**;

გ) პროფილაქტორიუმის მეხბორეს, რომელიც წონა-მატების საშუალო სადღეღამისო ზეგმის შესრულებასა ხბორების უფროს ჯგუფში გადაყვანის დროს შეინარჩუნებს ხბორების სულ ცოტა 95 პროცენტს — **15 კილოგრამი** ხორცი (ცოცხალი წონა), ხოლო ხბორების 100 პროცენტის შენარჩუნებისას — **25 კილოგრამი** ხორცი (ცოცხალი წონა);

დ) რძით ზამოკვებებს პირიოდში ხბორების მომვლელ მეხბორეს, რომელიც შეინარჩუნებს ნამატის 95 პროცენტს და ასრულებს წონა-მატების საშუალო სადღეღამისო ზეგმას — 1 თვის ასაკის **ერთი ხბო**, ხოლო ნამატის 100 პროცენტის შენარჩუნებისას — ორი თვის ასაკის **ერთი ხბო**;

ე) ჩაძალ ზამოკვების პირიოდში მომვლელ უფროს ჯგუფში გადაყვანამდე მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის მოზარდეულის მომვლელ მესაჭონლეს, რომელიც 100 პროცენტით შეინარჩუნებს პირუტყვს და ამასთან ასრულებს საშუალო სადღეღამისო წონა-მატების ზეგმას — ორი თვის ასაკის **ერთი ხბო**;

ვ) მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ნაიაღლიო სუქებისა და ზამოკვებისათვის პასუხისმგებელ მესაჭონლეს სახელმწიფოსათვის ჩაბარებული უმაღლესი ნაყოფობის ყოველი სული პირუტყვისათვის, თუ მან მთლიანად შეინარჩუნა სულადობა და ასრულებს საშუალო სადღეღამისო წონა-მატების ზეგმას — **ერთი კილოგრამი** ხორცი (ცოცხალი წონა), მაგრამ არა უმეტეს 80 კილოგრამისა, აგრეთვე მიღებული ზეგეგმითი წონა-მატების **20 პროცენტი**;

ზ) პირუტყვის ხელოვნურ დათესვაზე დასაქმებულ მუშაკებს, მათ მიერ დამუშავებული ძროხებისა და უშობლებისაგან სულ ცოტა 95 პროცენტი ჯანსაღი ხბორების მიღებისა და ამ სპეშუალს ზეგმის შესრულებისათვის — ორი თვის ასაკის **თითო ხბო**, ხოლო ნამატის 100 პროცენტით შეინარჩუნებისათვის სამი თვის ასაკის **თითო ხბო**;

მეღორეობის ფერმებში:

ა) ნეზვების მომსახურე მეღორეს, რომელიც ყოველ ნეზვზე წლის განმავლობაში იღებს 12 გოჭს, უზრუნველყოფს სულ ცოტა 10 კილოგრამი წონის გოჭების ასხლტას და მომდევნო ჯგუფში გადაცემას, — **0,5 კილოგრამი ხორცი** ყოველ გოჭისათვის, ხოლო იმათ, ვინც ყოველ ნეზვზე 14 გოჭს იღებს და უზრუნველყოფს სულ ცოტა 13 კილოგრამი წონის გოჭების ასხლტას და მომდევნო ჯგუფში გადაცემას — **თითო კილოგრამი** ხორცი ყოველი გოჭისათვის.

— მეღორეს, რომელიც ყოველ ნეზვზე 16 გოჭს იღებს და უზრუნველყოფს 15 კილოგრამი წონის გოჭების ასხლტას და მომდევნო ჯგუფში გადაცემას, — **1,5 კილოგრამი** ხორცი ყოველი გოჭისათვის, ხოლო იმათ, ვინც ყოველ ნეზვზე 16 გოჭზე მეტს იღებს და უზრუნველყოფს სულ ცოტა 18 კილოგრამი წონის გოჭების ასხლტას და მომდევნო ჯგუფში გადაცემას — **ორი კილოგრამი** ხორცი ყოველ გოჭზე;

ბ) 2-დან 4 თვემდე ასაკის **გოჭების მომვლელ** მეღორეს, წლის განმავლობაში **სულადობის** 95 პროცენტის შენარჩუნებისათვის, რომელიც ასრულებს **საშუალო** სადღეღამისო **წონა-მატების** გეგმას — **30 კილოგრამი ხორცი**.

გ) **გასაზრდელი** ღორების მომვლელ მეღორეს, რომელიც წლის განმავლობაში შეინარჩუნებს სულადობის 95 პროცენტს და ასრულებს საშუალო სადღეღამისო წონა-მატების გეგმას, — **20 კილოგრამი** ხორცი, ხოლო ამათ, ვინც 100 პროცენტით შეინარჩუნებს სულადობას და სულ ცოტა 10 პროცენტის გადაჭარბებით ასრულებს საშუალო სადღეღამისო წონა-მატების გეგმას — **50 კილოგრამი** ხორცი;

დ) მეღორე მწყემსს, რომელიც ჯელი დანარჩენი ჯგუფის ღორებს უვლის და წლის განმავლობაში შეინარჩუნებს სულადობის 95 პროცენტს და შესრულებს საშუალო სადღეღამისო წონა-მატების გეგმას, — **20 კილოგრამი** ხორცი;

მეფუტკრეობაში:

მეფუტკრეს:

— მისთვის მიჩენილ სკებში თაფლის წარმოების წლიური გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის იმ პირობით, თუ შეასრულა ცვილის მიღების გეგმა და სკების რაოდენობის გადიდების გეგმა — გეგმის გადამეტებით მიღებული თაფლის **25-დან 50 პროცენტამდე** (საფუტკაედ დატოვებული თაფლის ჩათვლით);

— ცვილის მიღების გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის, იმ პირობით, თუ შეასრულა თაფლის წარმოებისა და სკების რაოდენობის გადიდების გეგმები — საგეგმო ცვილის დამატებით **50 პროცენტამდე**;

— სკების რაოდენობის ზრდის გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის, იმ პირობით, თუ შეასრულა თაფლის წარმოების და ცვილის მიღების გეგმები — ზეგეგმითი თაფლისა და ცვილის 20 პროცენტამდე;

— დედაფუტკრის **გამოყვანის** გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის, იმ პირობით, თუ შეასრულა თაფლის წარმოებისა და ცვილის მიღების გეგმები, აგრეთვე სკების რაოდენობის გადიდების გეგმა — ზეგეგმითი თაფლისა და ცვილის **30 პროცენტამდე**;

მეგოცვრეობაში:

დედაბოცვრის მომვლელ მუშებს:

— ნამატის მიღებისა და შენარჩუნების გეგმის შესრულებისათვის — მიღებული ხორცის **10-20 პროცენტი**;

— ზეგეგმითი ხორცის მიღებისათვის — ზეგეგმითი ხორცის **25-40 პროცენტი**;

შენიშვნა:

პრემიების გაცემის უცილობელი პირობაა პირუტყვის, ფრინველის, სკების და დედაბოცვრების მიჩენის (მოვლის) გეგმით გათვალისწინებული ნორმების დაცვა.

მეცხოველეობის ფერმებისა და ბრიგადების ბრიგადირებს პრემიები ეძლევათ ნატურით მათ ბრიგადაში (ფერმაში) საშუალოდ ერთ მუშაზე გაცემული ნატურალური პრემიის ოდენობით.

მუშებმა სურვილისამებრ შეიძლება ნატურალური პრემიის ნაცვლად მიიღონ მისი ღირებულება სახელმწიფო შესყიდვის ფასების მიხედვით.

იმ მიზნით, რომ გაძლიერდეს საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოების მუშაათა მატერიალური დაინტერესება საკვების წარმოებით, ნებადართულია, რომ თვითონ და ნამჯა-ჩალის აღებაზე დასაქმებულ მუშებს დამატებით გასამრჯელოდ მიეცეთ, აგრეთვე მიეყიდოთ საგეგმო თვითღირებულებით საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო წარმოების მუდმივ მუშებს, რომლებსაც პირად სარგებლობაში ჰყავთ შინაური პირუტყვი, **თვითო მოსავლის და დამზადებული ხელოსის 10-მდე პროცენტი და ნამჯა-ჩალის 20-მდე პროცენტი.**

პრემიები უნდა გაიცეს მოქმედი დებულებით გათვალისწინებული **დამატებითი ანაზღაურებისა და პრემიების** დამატებით.

საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოების დირექტორებს უფლება მიეცათ ნაწილობრივ ან მთლიანად **ჩამოართვან ცალკეულ მუშებს კუთვნილი ნატურალური პრემიები, თუ მათ დაუშვეს საწარმოო ხარვეზები და დაარღვიეს შრომის დისციპლინა.**

ამავე დროს საბჭოთა მეურნეობების და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოების დირექტორებს უფლება მიეცათ პრემიათა დაჯილდოონ მეცხოველეობაში დასაქმებული მუშები სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების წლიური გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის, როცა ეს მიზანშეწონილია, **ერთი პროცენტის** ოდენობით, ხოლო ცალკეულ მეურნეობებში, რომლებმაც მეცხოველეობის პროდუქტიულობის მაღალ მაჩვენებლებს მიაღწიეს, — წლიური გამომუშავებისაგან **ერთი პროცენტის** ოდენობით, რომელსაც ბრიგადადან ან ფერმიდან იღებს მუშა ბრიგადის (ფერმის) მიერ აღნიშნული გეგმის გადაჭარბებით შესრულების ყოველი პროცენტისათვის.

(საქინფორმი).

ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებას

ნოსტუში. საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტმა მოაწყო მეთოდური კონფერენცია თემაზე „სკკპ XXV ყრილობა და პარტიული პროპაგანდის ზოგიერთი აქტუალური საკითხი“.

კონფერენცია მოკლე შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივანმა ჰ. ბარციცმა.

მოისმინეს ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორის, სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის სექტორის გამგის ი. ვოლკოვის მოხსენება „პარტიის სოციალური პოლიტიკა თანამედროვე პირობებში“. ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატის, დოცენტ ე. გუბაზის გამოსვლა მიეძღვნა სკკპ XXV ყრილობის, საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობისა და საქართველოს პარტორგანიზაციის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის ივნისის დადგენილების მასალათა შესწავლის მეთოდიკის ზოგიერთ საკითხს.

ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატმა. დოცენტმა. საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის პრორექტორმა ო. ზვინგიამ ილაპარაკა განვითარებული სოციალიზმის პირობებში კომუნისტური პარტიის ეკონომიური პოლიტიკის შესახებ, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა ვ. ადამიამ — თანამედროვე პირობებში იდეოლოგიური ბრძოლის თავისებურებებზე, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატმა, დოცენტმა ტ. მიხაილოვმა — სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად მშრომელთა პოლიტიკურ, შრომით და ზნეობრივ აღზრდაზე.

პროპაგანდისტებმა ერთმანეთს გაუზიარეს გამოცდილება.

(საქინფორმის კორ.).

დღეს იწყება ახალი სასწავლო წელი პარტიული განათლების სისტემაში

როგორ მოემზადეთ პოლიტიკური და ეკონომიური განათლების სისტემაში ახალი სასწავლო წლისათვის, როგორ შეარჩიეთ პროპაგანდისტები, რას ითვალისწინებდით სკოლების, წრეებისა და თეორიული სემინარების დაკომპლექტების დროს? — ასეთი კითხვებით მიმართა „კომუნისტს“ რედაქციის თანამშრომელმა იდეოლოგიური დარგის მუშაკებს, პარტიულ ხელმძღვანელებს. რომლებიც პარტიული განათლების ქსელში ახალი სასწავლო წლისათვის მზადებას ხელმძღვანელობენ. ვბეჭდავთ ამ საუბრის ჩანაწერს.

დ. ჯაფარიძე (საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის პარტიული კომიტეტის მდივნის მოადგილე): დიდი მნიშვნელობა აქვს პარტიული განათლების ქსელის მაღალ იდეურ-პოლიტიკურ დონეზე, თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისად წარმართვას, ამიტომ ჩვენი ინსტიტუტის პარტიული ორგანიზაცია, შეიძლება ითქვას, წარმატებით მოემზადა პარტიული განათლების ქსელში ახალი სასწავლო წლისათვის. ჩვენთან პარტიული განათლების ძირითადი ფორმებია: თეორიული სემინარები, მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების სკოლები და წიგნზე დამოუკიდებელი მუშაობა. ამის გარდა უპარტიო ამხანაგებისათვის შეიქმნა საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცოდნის სამი ლექტორიუმი. სწავლების ამ ფორმებში ჩაბმულია 1.693 მსმენელი, მათ შორის ცხრაასი კომუნისტი. ახალი სასწავლო წლიდან მუშაობას შეუდგება 50 თეორიული სემინარი (პარშან 46 იყო).

მოგეხსენებათ, პოლიტიკურ სწავლებაში ცენტრალური ფიგურა პროპაგანდისტია. ჩვენ შევარჩიეთ კარგად მომზადებული 100-დე პროპაგანდისტი. მათ შორის დოცენტები: ა. კაკულია, დ. გაგნიძე, ა. ჯაფარიძე, რ. არუთინოვი, ო. ჯიაშვილი, ვ. მამალაძე, ს. ბაჭანიძე, ა. პაპაკა და უფროსი მასწავლებელი ზ. ბერკაცაშვილი.

პარტიული განათლების ქსელში მეცადინეობებს ხელს უწყობს ინსტიტუტში საზოგადოებრივ საწყისებზე შექმნილი პოლიტიკური განათლების კაბინეტი (გამგე გ. კუპრაშვილი). მდიდარ თემატიკურად შერჩეულ ლიტერატურასა და მასალებთან ერთად კაბინეტს აქვს კინოპროექტორი, დიაპროექტორი, მაგნიტოფონი და სხვა ტექნიკური საშუალებანი. ამიერიდან პარტიულ კაბინეტთან იმუშავებს მეთოდიური საბჭო.

პარტიული სწავლების უმაღლეს ჩონლში მსმენელთა ყურადღება დაეთმობა პარტიის თეორიისა და პოლიტიკის აქტუალურ პრობლემებს პარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად, თვითეული თემა ორ-ანლად დაუყვნიერება ყრილობის მასალებს, მისი იდეებისა და დებულებების ღრმა შესწავლას.

რ. მოსაშვილი (პარტიის ქ. თბილისის ლენინის რაიკომის მეთოდიკური საბჭოს წევრი): ახალი სასწავლო წლისათვის მოსამზადებლად რაიკომმა და პირველადმა პარტორგანიზაციებმა მნიშვნელოვანი ღონისძიებები განახორციელეს.

რა ვგულისხმობთ კონკრეტულად? დაწყებითის რგოლში შეექმნენთ 85 სკოლა, სადაც გაერთიანდა 2.089 მსმენელი (შარშან 70 სკოლა ვკრებდა). სასშუალო რგოლში შექმნილ მარქსიზმ-ლენინიზმის საღამოების სკოლებში ჩაგვიბიან 7.573 მსმენელი, ხოლო პარტიული სწავლების უმაღლეს რგოლში „თეორიულ და პრობლემურ სემინარებში“ — 7.494 მსმენელი. ამრიგად, მიმდინარე სასწავლო წელს პარტიული განათლების ქსელში ისწავლის 20.000 კაცი ანუ შარშანდელთან შედარებით 2.500-ით მეტი.

დაწყებითი რგოლის 44 სკოლაში ჩვენ ვცდილობ ანმენ თეორიული „სკკპ პოლიტიკის აქტუალური პრობლემები“, საშუალო რგოლის 150 სკოლაში — „სკკპ პოლიტიკა—მარქსიზმ-ლენინიზმი მოქმედებაში“, უმაღლესი რგოლის 187 ჯგუფი შეისწავლის თემას „სკკპ პოლიტიკისა და თეორიის აქტუალური პრობლემები პარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა მიხედვით“.

მრავალ მოწინავე პროპაგანდისტთა შორის მინდა დავასახელო **შ. მიქაძე**, № 1 სამკერვალო ტექნიკური სწავლებისა და მშრომელთა ეკონომიური განათლების სისტემაში ასალი სასწავლო წლისათვის. მსმენელთა სურვილების გათვალისწინებით დავაკომპლექტეთ პოლიტიკური და ეკონომიური განათლების მთელი ქსელი, ფეკარჩიეთ პროპაგანდისტები.

პარტიის XXV ყრილობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის სალგარიშო მოხსენებაში ხაზგასმულია, რომ „ეკონომიური განათლების შედგომ განვითარებასთან ერთად უნდა ვიზრუნოთ იმისათვის, რომ მან მაქსიმალურად შეუწყოს ხელი შრომის ორგანიზაციის მოწესრიგებას გამოცდილების საყოველთაო გავრცელებას, მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა წარმოებაში დანერგვას“. ეჭვიტ, ბუნებრივია, სწავლა შრომელთა შორის იდეურ-აღზრდელობითს მუშაობაში კომუნისტთა აქტიურ მონაწილეობას უნდა ეჩაეებოდეს.

სწავლების ყველა რგოლში ხულ რეიმნა 169 სკოლა, წრე, თეორიული სემინარი.

ახალ სასწავლო წელს ორგანიზებულად იწყებენ წნორის მექანიკური ქარხნის, სიღნაღის სასშუალო სკოლის, ბოდბისხევის, ტბიბანის, ვაჭირის კოლმეურნეობათა პირველადს პარტიულ ორგანიზაციებში.

პარტიული განათლებისა და ახალ მეთოდიკურ შეხედულებათა პროპაგანდის მთავარი ამოცანა, მათი ნაკარნის გამდიდრებისა და ქმედითობის ამაღლების მთავარი პირობაა ის, რომ ღრმად შევისწავლოთ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენება XXV ყრილობაზე, ყრილობის სხვა დოკუმენტები.

ახალ სასწავლო წელს ვიწყებთ დეკანოზი: შეძენილი ცოდნა გადავაქციოთ ადამიანთა აქტიურ ცხოვრებისეულ პოზიციად, მოქმედების სახელმძღვანელოდ ჩვენ წინაშე დასახულ პრობლემათა წარმატებით გადასაჭრელად.

ვ. ბაბაკორია (პარტიის ქ. თბილისის ოქტომბრის რაიკომის პროპაგანდისტი და აგიტაციის განყოფილების გამგე): მინდა დავიწყო პროპაგანდისტებით. ზეკეს რაიონში ფართოდ არის ცნობილი ძველი რევოლუციონერი ვაოლაძ ნადარეშვილი. იგი მრავალი წელია ეწევა ლენინური იდეების პროპაგანდას. მსმენელები ყოველთვის ემადლიერებიან მას. და აი ძველი ნაცადი პროპაგანდისტი წელსაც ახალგაზრდული ენერგიით იწყებს ახალ სასწავლო წელს.

ვ. ნადარეიშვილს მზარს უმშვენებენ გამოცდილი პროპაგანდისტები: ნათელა მინდიაშვილი (30-ე საშუალო სკოლა), ნიკოლოზ დარჩენაო (მმართველ-გამომთვლელი ქარხანა), კონსტანტინე არუშანოვი (ელექტრონიკის, ავტომატიკისა და ტელემექანიკის საკვლევი-სამეცნიერო ინსტიტუტი).

ჩვენ სულ შევარჩიეთ 451 პროპაგანდისტი (რეზერვის ჩათვლით), რომლებიც უხელმძღვანელებენ 219 სკოლას, წრესა და თეორიულ სემინარს, სადაც პოლიტიკურ ცოდნას და ეკონომიურ განათლებას ახალი ძალით დაიწყებენ 6 ათასზე მეტი მსმენელი.

ახალ სასწავლო წელს უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს პოლიტიკური თვითგანათლება — მარქსისტულ-ლენინური თეორიის დაუფლება ძირითად ფეთოდად. პოლიტიკურ თვითგანათლებაზე დამოკიდებლად იმუშავებს 271 კომუნისტი. მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა ნაშრომების, პარტიული დოკუმენტების გულმოდგინე შესწავლას ხელს შეუწყობს მეცადინეობის აქტიური ფორმებისა და მეთოდების გამოყენება (სემინარები, გასაუბრება, პრაქტიკული დავალების შესრულება, სოციალურ-ეკონომიური ანალიზი), რასაც ნერგავენ პარტიული კაბინეტი, პროპაგანდისტები, პირველადი პარტიული ორგანიზაციები.

კვალიფიციურად წარვმართოთ სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებებისა და მახალების შესწავლა, ახალი ამოცანების შესაბამისად მოვაწყოთ მთელი პარტიული განათლების ქსელის მუშაობა — ასეთია ამოცანა.

ახალი მოთხოვნების შესაბამისად

კვალიფიციურად წარვმართოთ სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებებისა და მასალების შესწავლა

პარტიული განათლების ქსელში ახალი სასწავლო წლისათვის ჩინებულად მოემზადნენ თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელი ქარხნის პარტიული ორგანიზაცია, პროპაგანდისტები და მსმენელები. და, აი, პირველი მეცადინეობის დაწყების წინ პროპაგანდისტები ერთხელ კიდევ ამოწმებენ და აკვანებენ მზადების შედეგებს.

ხურათზე: (მარცხნიდან) **პროპაგანდისტები: კ. მამაცაშვილი** (მთავარი ტექნოლოგი), **გ. ბენდელიძე** (საკონსტრუქტორო ბიუროს მთავარი ინჟინერი), **თ. ქათამაძე** (ქარხნის მთავარი ინჟინერი მოადგილე) **და ვ. ჭურდაშვილი** (საკონსტრუქტორო ბიუროს განყოფილების უფროსი).

ბ. ბოგოლიუბოვის ფოტო.

დიდი ჯილდო

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს გადაეცა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფსაბჭოსა და საქართველოს ალკპ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი დროშა.

1975 წლის სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებისათვის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს მიენიჭა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფსაბჭოსა და საქართველოს ალკპ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა.

მაღალი ჯილდოს გადაცემას მიეძღვნა საზეიმო სხდომა, რომელიც 30 სექტემბერს გაიმართა თბილისის უნივერსიტეტის საკტო დარბაზში.

სხდომა შესავალი სიტყვით გახსნა უმაღლესი სასწავლებლის პარტკომის მდივანმა პროფესორმა **რ. გორდეზიანმა.**

სიტყვა წარმოთქვა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ **ზ. პატარიძემ.** მან აღნიშნა, რომ თბილისის უნივერსიტეტის კოლექტივს დიდი დამსახურება მიუძღვის მაღალი ideologიფიკაციის სპეციალისტთა სწავლებისა და აღზრდის საქმეში, საბჭოთა მეცნიერებისა და კულტურის განვითარებაში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელით ამხ. ზ. ა. პატარიძემ უნივერსიტეტის კოლექტივს მიულოცა მაღალი ჯილდო და შეკრებილთა ტაში გრიალში თბილისის უნივერსიტეტის რექტორს პროფესორს ლ. ჩხეიძეს გადასცა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, **საქართველოს** პროფსაბჭოსა და საქართველოს ალკპ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა და დიპლომი.

სხდომაზე გამოვიდნენ პროფესორი **დ. ჩხაიძეშვილი**, ბოტანიკის კათედრის გამგე, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი **ნ. კეცხოველი**, ალგებრისა და გეომეტრიის კათედრის გამგე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი **გ. ჭოლოშვილი**, თბილისის უნივერსიტეტის ქალთა საბჭოს თავმჯდომარე პროფესორი **ც. სვანიძე**, ისტორიის ფაკულტეტის დეკანი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი **ა. სურგულაძე**, ბიოლოგიის ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტი **მ. მაჭავარიანი.** მათ მხურვალე მადლობა გადაუხადეს პარტიისა და მთავრობას მაღალი ჯილდოსათვის და აღუთქვეს, რომ საქართველოს უძველესი უმაღლესი სასწავლებლის პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა კოლექტივი კვლავაც არ დაიშურებს ძალ-ღონესა და ენერგიას, რათა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ზრუნვას უპასუხოს მაღალკვალიფიციური სპეციალისტების — კომუნისტური საზოგადოების მშენებელთა სწავლებისა და აღზრდის საქმეში მოპოვებული ახალი წარმატებებით, თავის წვლილს შეტანს სკკპ XXV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა შესრულებაში. (საქინფორმი).

ქართველი მეტალურგების სიუმრები

რუსთავში ჩამოვიდა პოლონეთის პროფკავშირების ცენტრალური საბჭოს დელეგაცია. იგი გაეცნობა გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საკავშირო საზოგადოების საქმიანობას.

დელეგაციის წევრები ეწვიენენ სამრეწველო საწარმოებს. ისინი განსაკუთრებით დაინტერესდნენ მეტალურგიული ქარხნის გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საკავშირო საზოგადოების საბჭოს მუშაობის გამოცდილებით. გაიმართა საუბარი საწარმოს რაციონალიზატორებთან და გამომგონებლებთან. ქარხნის მთავარი ინჟინრის მოადგილემ შ. ანთელიძემ ილაპარაკა საწარმოში ახალი ტექნიკის დანერგვაზე, საწარმოს ტექნიკურ პროგრესში გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა წვლილზე.

გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საკავშირო საზოგადოების რუსთავის საქალაქო საბჭოს თავმჯდომარემ, რესპუბლიკის დამსახურებულმა რაციონალიზატორმა ი. ნარიმანიძემ პოლონელ მეგობრებს გააცნო სამრეწველო ცენტრის მშრომელთა ტექნიკური შემოქმედება.

(საქინფორმი).

მიფრინავს „კოსმოს-858“

1976 წლის 29 სექტემბერს საბჭოთა კავშირში გაუშვეს დედამიწის მორიგი ხელოვნური თანამგზავრი „კოსმოს-858“.

თანამგზავრზე დადგმული სამეცნიერო აპარატურა განაგრძობს კოსმოსური სივრცის კვლევას. აპარატურა ნორმალურად მუშაობს. საკორდინაციო-გამოთვლითი ცენტრი ამუშავებს მიღებულ ინფორმაციას. (საკდესი).

თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელი ქარხნის ეკონომიური ცოდნის სფეშუძველის ერთ-ერთი სკოლის ხელმძღვანელი, პროპაგანდისტი თენგიზ ქათამაძე პარტიის ლენინის რაიკომმა ამ ცოტა ხნის წინათ საპატიო სიგელით დაჯილდოვა. სასიამოვნოა, როცა შრომას ასე გიფასებენ. ეს ხალისსაც მგბატებს, მაგრამ იგი ამავე დროს უფრო მეტის გაკეთებასაც გავალებს. სწორედ ასე შეაფასა პროპაგანდისტმა ეს ჯილდო.

ეკონომიური ცოდნის საფუძვლების სკოლა, რომელსაც თ. ქათამაძე ხელმძღვანელობს, მერვე და მეთოთხმეტე სამაქროების ოცდაათამდე მუშას და ოსტატს ეერთიანებს. ეს ის ადამიანები არიან, რომლებიც უშუალოდ საწარმოო უბნებზე, ჩარხებთან და სხვა დანადგარებთან პრაქტიკულად ასხამენ ხორცს სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებებსა და სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1976-1980 წლების ძირითად მიმართულებებში დასახულ ამოცანებს.

— **რა** იქნება მთავარი თქვენი სკოლის მუშაობაში ახალ სასწავლო წელს? რას უფრო დაუთმობთ ყურადღებას? — ვკითხე თ. ქათამაძეს, როცა იგი ერთ-ერთი საწარმოო უბნიდან თავის კაბინეტში დაბრუნდა.

პროპაგანდისტს ხალისი მოპყვა საამქროდან — ჩანდა საქმე კარგად მიდიოდა. ცხადია, ჩვენი საუბარიც ჩინებულად აეწყო.

— მთავარი, რასთვისაც პროპაგანდისტებმა დაწყების დღიდან ვზრუნავ, არის მეცადინეობისა და პრაქტიკული საქმიანობის ურთიერთშეწყობა, სკოლის მსმენელთა იდეური წრთობის პრაქტიკასთან, კონკრეტულ საქმეებთან ისე დაკავშირება, რომ ორივე ეს პროცესი ერთმანეთს ავსებდეს, სრულყოფდეს, ამდიდრებდეს. ყოველივე ეს რომ არა, ეფექტურობა, პროპაგანდისტული მუშაობა ფუჭი და უსარგებლოა.

სიტყვის ძალა და ძლევამოსილება სწორედ მისი საქმიანი არსი და კონკრეტულობა, ცხოვრებისეულობა და პრაქტიკულობაა. გასულ სასწავლო წელს, როცა მეცადინეობებზე სოციალისტურ წესსა და შრომის ნაყოფიერების გადიდების საშუალებებზე ვმსჯელობდით, წარმოების ეკონომიკის განმტკიცების სხვა საკითხებს ვსწავლობდით, კონკრეტულად გავაანალიზეთ საწარმოო უბნებში, ცალკეულ საოსტატოებში წარმოების ეფექტიანობის გზები. მუშებმა, ოსტატებმა უფრო ღრმად, როგორც იტყვიან, მეურნის თვალით იწყეს საქმეში, წარმოებისა და შრომის ორგანიზაციის საკითხებში ჩახედვა, ფიქრი, რეზერვების ძიება და ამოქმედება.

მაგალითად, ოსტატ ჯ. თოფურიას საოსტატოს მუშებმა თავიანთი ინიციატივით გადასინჯეს ყოველდღიური სამუშაოს ნორმირების პრაქტიკა მისი გაზრდის მიზნით.

რამ განაპირობა ეს? — დაოსტატებამ, კვალიფიკაციის ამაღლებამ, რისთვისაც სისტემატურად ვიღებენ. და აი, სკოლის ერთ-ერთ მეცადინეობაზე გადავწყვეტეთ კონკრეტულად შევდგომოდით საქმეს. მას შემდეგ ამ და სხვა საწარმოო უბნებზეც ხარატები, მოარაგები და სხვა პროფესიის მუშები ჩინებულად ეართმევენ თავს გადიდებულ ნორმებს, დეტალებს და კვანძებსაც მაღალხარისხოვანს ამზადებენ.

— კიდევ რა მიგიჩნიათ პროპაგანდისტული მუშაობის მთავარ დანიშნულებად?

— თვითეული მსმენელისათვის კომუნისტური იდეურობის ჩაენერგვა და განმტკიცება. კომუნისტური იდეურობა კი, როგორც სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა XXV ყრილობაზე აღნიშნა, არის ცოდნის, რწმენის და პრაქტიკული მოქმედების შენადნობი. ცხადია, რაც უფრო მტკიცეა ეს შენადნობი, მით უფრო ძლიერია ადამიანი, მით უფრო ნაყოფიერია მისი შრომა.

მეცადინეობის დროს ამის მაგალითები სხვაგან არ მაქვს საძებნი, ხარატები ა. ხარიტონაშვილი, ბ. გველუკაშვილი, მლარავი თ. კობალაძე, ზეინკალი გ. ყუფარაშვილი, მექანიკოსი ი. ხუხია, შიგმლარავი ნ. კობალაძე და სკოლის სხვა მსმენელები ნოვატორულად შრომობენ, მეცადინეობების დროს მიღებულ ცოდნას, იდეურ წრთობას უნარიანად იყენებენ შრომაში. მათ მიერ შესრულებული ყოველი ოპერაცია, დეტალი დამუშავების მაღალი ოსტატობით გამოირჩევა.

ახალი სასწავლო წლისათვის მომზადებაში როგორც ყველა პროპაგანდისტს, ისე მეც დიდად დაგვეხმარა სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად პარტიული სწავლების ამოცანების შესახებ“. თუ გავითვალისწინებთ, რომ ახალი სასწავლო წლის მთავარი დამახასიათებელი თვისება იქნება XXV ყრილობის დოკუმენტების და გადაწყვეტილებების ფურო ღრმა, საფუძვლიანი შესწავლა და მათი წარმატებით შესრულებისათვის მშრომელთა დარაზმა, გასაგებია, რაოდენ დიდია ამ დოკუმენტის მნიშვნელობა. ჩვენ სკოლის მეცადინეობებზე მნიშვნელოვან ადგილს დაიკავებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის 22 ივნისის ცნობილი დადგენილება ჩვენი რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის საქმიანობის შესახებ.

უკვე გვიანი საღამო იყო, ქარხნის ალაყაფიდან რომ გამოვედით. ძირითადი საამქროები ისევ კუბუნებდნენ. კარგი ამინდი იდგა და ნელა ვავლიეთ მაგნიტოგორსკის ქუჩას. თენგიზ ქათამაძე ხელოვნდელ დღეზე მსჯელობდა და მიამბობდა, თუ რა მუშაობაა გაწეული საწარმოში ხარისხის კომპლექსური მართვის დანერგვისათვის.

ამ მიზნით აქ შექმნილია ხარისხის მართვის ახალი სისტემის მაკონტროლებელი დანერგვის საკოორდინაციო ჯგუფი. მასში გაერთიანებულნი არიან საამქროთა და განყოფილებათა სპეციალური საკონტროლო ბიუროსა და სხვა სამსახურების მთავარი სპეციალისტები, ინჟინრები — მაძიებელი. მოუსვენარი აზრის ადამიანები. ჯგუფის ხელმძღვანელობა მინდობილი აქვს თ. ქათამაძეს — ქარხნის მთავარი ინჟინრის მოადგილეს.

ეს ფრიად სერიოზ

30 სექტემბერი

ფაქტები, პრობლემები

მსოფლიოს ამბები

საქართველოს კორესპონდენტები და უცხოეთის პრესის საკორესპონდენტოები

ხანგრძლივი პროგნოზირების პრობლემები

საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის სიმპოზიუმი

29 სექტემბერს თბილისში მუშაობა დაიწყო საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის მე-4 სიმპოზიუმმა, რომელიც საშუალო ვადიანი და გრძელვადიანი პროგნოზირების პრობლემებს ეძღვნება. იგი ეწყობა საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის „ინფორმატიკის“ პრობლემებზე თანამშრომლობის ფარგლებში.

სამი დღის განმავლობაში მოისმენენ 17 მოხსენებას, გაიმართება დისკუსიები დარგთშორისი კავშირის მოდელირების, გრძელვადიანი ეკონომიური განვარეშებების, მოსახლეობის შემოსავლის დინამიკისა და სტრუქტურის გრძელვადიანი პროგნოზირების პრობლემებზე. განიხილავენ ტერიტორიულ-საწარმოო კომპლექსების სისტემების გრძელვადიანი ზრდის ფაქტორებთან, ოპტიმიზაციასთან, ქალაქების ტერიტორიის მოწყობასთან და განვითარებასთან, რესპუბლიკის ეკონომიკის განვითარების პროგნოზირებასთან დაკავშირებულ საკითხებს და სხვ.

სიმპოზიუმის მუშაობა შესავალი სიტყვით გახსნა სიმპოზიუმის მომწყობი რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ, ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ს. შატალინი.

მოხსენება „დარგთშორისი კავშირის მოდელირება“ გააკეთა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალური ეკონომიკა-მათემატიკის ინსტიტუტის პროფესორმა ე. ერშოვმა. გრძელვადიანი ზრდის ფაქტორებს მიუძღვნა მოხსენება საფრანგეთის სტატისტიკისა და ეკონომიური კვლევის ეროვნული ინსტიტუტის პროფესორმა მიუეგ. „გრძელვადიანი ეკონომიური განვარეშებათა და დამრეტადი რესურსები“ — ამ თემას მიუძღვნა მოხსენება პროფესორმა ფურომ.

პირველ ღღეს მოისმინეს საფრანგეთის ეკონომიკისა და ფინანსთა სამინისტროს პროგნოზირების განყოფილების წარმომადგენლის, პროფესორ ბარტელემის, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის მთავარი გამოთელითი ცენტრის მეცნიერი თანამშრომლის პროფესორ ი. ურინსონის მოხსენებები. (საქინფორმი).

ᲓᲐᲡᲐᲒᲛᲝᲑᲘ ᲓᲐᲕᲒᲛᲝᲗ!

გადასახურავის გრძელი სიგი

ᲞᲘᲠᲘᲡᲐ და ლბინის გაზიარება ოდითგანვე შედის ადამიანთა ურთიერთობის დაუწერელ კანონში. ურთიერთპატივისცემის ეს მოხსოვნა საგალდებულოა ყოველთვის, თუ იგი, რა თქმა უნდა მეშჩანური ზედმეტობით არ არის დამახინჯებული.

ამასწინათ დაკრძალეს ეესწრებოდი ზესტაფონში. გარდაცვლილის გამოსათხოვებლად აქ ბევრი ახლობელი მოვიდა. მწუხარებას მოეცვა ოჯახი, დამსწრეები, ეზოში არ გარბი-გამორბოდნენ თეთრ ხალათებში გამოწყობილი „მომხმარეები“ ლობიანი და მწვანილიანი თასებით, ღვინით სავსე ჩაფებით. სპეციალურად გამოყოფილი მომპატიჟებლები არ აწუხებდნენ ხალხს დაცინებული თბოვენით — „წამობრძანდით, მაგიდაზე ადგილები გათავისუფლდაო“.

ცერემონიალი მოკრძალებით მიმდინარეობდა. ადგილობრივთვისთვის ეს ჩვეულებრივი მოვლენა იყო, მაგრამ ზოგიერთი „სტუმარი“ გაკვირვებული დარჩა.

ქელეხი რომ არ იყო, ეს ვითომ არაფერი, მაგრამ გადასახურავის მაგიდა რომ ვერ აღმოაჩინეს, ეს ძალზე გაიკვირვეს ხარაგიულიდან ჩამოსულებმა. იქვე მყოფი თერჯოლელები არწმუნებდნენ მათ, ახლა ჩვენთანაც მკვდრდება ასეთი წესებიო.

სწორედ ასეთ საუბარში დაიბადა ეს თემა და პროფესიული ალღოსაც არ უღალატნია.

ის, რაც ახლო წარსულში დაკანონებული და ფესვგადგმული იყო, ერთი ხელის დაკვრით არ აღმოიფხვრება. გადალახული უნდა იქნას ბევრი ერძომესაკუთრული, მეშჩანური სულისკვეთების, ჩამორჩენილი ფსიქოლოგიის მქონე ადამიანის წინააღმდეგობა. მაგრამ ეს ტაქტით, ზომიერად, თანმიმდევრულად უნდა გაკეთდეს.

ამ მხრივ ბევრი კარგი რამ გააკეთა პარტიის თერჯოლის რაიკომმა. გაუხამსებული ტრადიციების გამოსავლენად შექმნილია კომისია და ყოველი ფაქტი მკაცრი მსჯელობის საგანი ხდება.

ფართო მასშტაბით მოწყობილ წვეულებაში დიდი რაოდენობით დალეული ღვინისაგან დაიღუპა დაბა თერჯოლში მცხოვრები 23 წლის გ. მ-ძე. იქვე მყოფ ადამიანებს რომ სწორი რჩევა მიეცათ ახალგაზრდისათვის, ასე ტრაგიკულად არ დამთავრდებოდა ეს ამბავი. სამწუხაროდ, ამ ახალგაზრდის დაკრძალვაც დიდი ქელეხით აღინიშნა და გადასახურავის გადამხდელთა სიამ ერთი რვეული შეადგინა.

სახელდახელოდ მოწყობილი გრძელი „სუფრებით“, ფოლის შემწირავთა გრძელი სიებით გასვენდნენ ზედა საბანოელი გ. ხ-ძე და ალისუბნელი პ. მ-ლი.

გადასახურავის გადამხდელთა სიები საოჯახო რელიქვიად არის გამოცხადებული. ამ სიებში ბევრი კომუნისტის და ხელმძღვანელი მუშაკის გვარსაც ამოვიკითხავთ.

პარტიის რაიკომის ბიუროზე მაცრად იმსჯელეს ამ საკითხზე და სასჯელები დაედო შესაბამის სასოფლო საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეებს, შინაგან საქმეთა განყოფილების უბნის რწმუნებულებს.

ღვინის გადამეტებული სმა მაგნე გადმონაშთია და არავითარი საერთო არ აქვს ეროვნულ ტრადიციებთან. განსაკუთრებით საგანგაშოდ მიგვაჩნია ის, რომ ღვინის სმის „ტრადიცია“ დამკვიდრდა საზოგადოებრივ მეურნეობებში მუშაობის დროსაც. სოფელ თუზში მცხოვრებმა ჯ. ბუხრაშვილმა კოლმეურნეობის ნაკვეთში მუშაობის დროს თანასოფლელთა თვალწინ დიდი რაოდენობით დალია ღვინო და უგონოდ მთვრალმა თოფით მოკლა მეზობელი ი. ზაფიე.

ლოთობის ანალოგიური ფაქტები საავეჯო და საზოგადოებრივი კვების ქსელის ობიექტებშიც არის. ისეც მთვრალ შ. კახიძეს თერჯოლის მაღაზიაში მაშინდელმა გამყიდველმა ი. ქაშაკაშვილმა ნახევარი ლიტრი არაყი მიჰყიდა. კახიძემ იქვე დალია ეს არაყი და ბოროტი ხულიგნობა ჩაიდინა, რისთვისაც სასჯელს იხდის.

მაგნე ტრადიციებზე ლაპარაკისას გვერდს ვერ ავუვლით მცირეწლოვანთა ქორწინების შემთხვევებს, რომლებიც, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ გვხვდება. სიქთარველემ 27 წლის ვ. რობაქიძემ ცოლად შეირთო ქვედა საზანოელი მცირეწლოვანი. მეშვიდეკლასელი მოსწავლე. „ნეფის“ წამწარდა ქორწინება, იგი წლინახევრით მიაბრძანეს სადაც ჯერ არს, ხოლო ნაადრევი „დედოფალი“ ცრემლიანი ზის ოჯახში.

უხამსი გადმონაშთია ქალის მოტაცება ცოლად შერთვის მიზნით. ამ სამარცხვინო გზას დაადგა კვეხერის სასოფლო საბჭოს დეპუტატი რ. ყუფარაძე. ამ „რაინდს“ ყოვნი ნაცარში ჩაუვარდა — წელიწადნახევარით არის იზოლირებული საზოგადოებისაგან.

დასაგმობი გადმონაშთია კერძომესაკუთრული, მეშჩანური ტენდენციები. ზოგიერთი ხარბი ადამიანი, უსაშველოდ დიდ სახლს აგებს, რასაც ოჯახური აუცილებლობა როდი მოითხოვს. მაგალითად, ასე გააკეთა „საქსოფლტექნიკის“ თერჯოლის განყოფილების ინჟინერმა, სკკპ წევრმა ტ. ქოჩიაშვილმა. მის მიერ აგებულ 132 კვადრატულ მეტრიან საცხოვრებელ სახლს ოთხივე გვერდზე შემოვლებული აქვს 332 კვადრატული მეტრი ფართობის რკინა-ბეტონის აივანი.

ბართალია, ბოლო ხანებში შემცირდა ალკოგოლური რიტუალები, მაგრამ ჯერჯერობით მთლიანად აღმოფხვრილი არ არის. ამ საკითხზე ბევრს მუშაობენ პარტიული ორგანიზაციები, მაგრამ, ჩანს, ეს საკმარისი არ არის.

პარტიის თერჯოლის რაიკომს, კომკავშირს, კულტსაგანმანათლებლო დაწესებულებებს, სოფლის ინტელიგენციას დიდი მუშაობა დასჭირდებათ მავნე გადმონაშთების აღსაკვეთად და ღირვანდელი ყოფის, სოციალისტური ტრადიციების და წეს-ჩვეულების დანერგვისათვის.

ო. ნიქაბაძე,
„კომუნისტის“ სპკ. კორ.

„საქართველოს სოფლის მეურნეობა“ № 9

გამოვიდა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ყოველთვიური სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალის „საქართველოს სოფლის მეურნეობის“ მრავალ, მეცხრე ნომერი.

ჟურნალში გამოქვეყნებულია სტატიები და წერილები: პ. ყელენტი — სოფლის მეურნეობის განვითარების მაგისტრალური მიმართულება; გ. ჯოგარდიძე — ქართველი მეხილეთა გადაუდებელი ამოცანები და სხვ.

30 სექტემბერი

საბჭოთა კავშირის ახალი დიდმნიშვნელოვანი ინიციატივები

ნიუ-იორკი. 29 სექტემბერი. (საკდესი). 28 სექტემბერს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. გრომიკომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს კ. ვალდჰაიმს წერილი გაუგზავნა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XXXI სესიის დღის წესრიგში შეიტანონ როგორც დიდმნიშვნელოვანი და სასწრაფო საკითხი „საერთაშორისო ურთიერთობაში ძალის გამოუყენებლობის მსოფლიო ხელშეკრულების დადების შესახებ“. XXXI სესიაზე ზოგად დისკუსიაში გამოსვლისას ა. ა. გრომიკომ სესიის განსახილველად შეიტანა საბჭოთა კავშირის მემორანდუმი გამალებული შეიარაღების შეწყვეტისა და განიარაღების შესახებ.

მემორანდუმში, რომელიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ოფიციალურ დოკუმენტად გაავრცელეს, დასახულია განიარაღების დარგში სახელმწიფოთა შეთანხმებული მოქმედების მთავარი მიმართულებანი. საბჭოთა კავშირს გადაუდებელ ამოცანად მიაჩნია მიაღწიონ გამალებული ატომური შეიარაღების შეწყვეტას, ატომური იარაღის შემცირებასა და შემდგომ ლიკვიდაციას, ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვას, აგრეთვე ატომური იარაღის გაუვრცელებლობის რეჟიმის განმტკიცებას. მემორანდუმში ნათქვამია, რომ ქიმიური იარაღის აკრძალვისა და მოსპობისათვის, მასობრივი მოსპობის იარაღის ახალ სახეობათა და ახალ სისტემათა შექმნის აკრძალვისათვის მოქმედება აქტუალურია. დოკუმენტში დასაბუთებულია, რომ საჭიროა ღონისძიებები შეიარაღებული ძალებისა და ჩვეულებრივი შეიარაღების შესამცირებლად. იგი შეიცავს დებულებებს, რომ ინდოეთის ოკეანესა და სხვა რაიონებში შეიქმნას მშვიდობის ზონები და შემცირეს სამხედრო ბიუჯეტები. მემორანდუმში ყურადღება ეთმობა აგრეთვე მოლაპარაკებს გამალებული შეიარაღების შეწყვეტისა და განიარაღების საკითხებზე.

ქვემოთ მოგაწოდეთ საერთაშორისო ურთიერთობაში ძალის გამოუყენებლობის მსოფლიო ხელშეკრულების პროექტის ტექსტი.

პროექტი

მსოფლიო ხელშეკრულება საერთაშორისო ურთიერთობაში ძალის გამოუყენებლობის შესახებ

მაღალი ხელშემკვრელი მხარეები, რომლებიც

საქმეყნოდ დასტურებენ, რომ მათი მიზანია ხელი შეუწყონ ერთმანეთს შორის ურთიერთობის გაუმჯობესებას, უზრუნველყონ ქვეყნად მტკიცე მშვიდობა და დაიცვან ხალხები მათი უშიშროებისადმი ყოველგვარი მუქარისა თუ ხელყოფისაგან;

ცდილობენ აღმოფხვრან სახელმწიფოთა შორის ახალი ომებისა და სამხედრო კონფლიქტების წარმოშობის საფრთხე;

ხელმძღვანელობენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებით ნაკისრი ვალდებულებებით, რომ დაიკავებენ მშვიდობას და თავს შეიკავებენ ძალით მუქარისა ან მისი გამოყენებისაგან;

ითვალისწინებენ, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ შემოთავაზებული და მიღებული აგრესიის განსაზღვრა ახალ შესაძლებლობებს უქმნის სახელმწიფოთა ურთიერთობაში ძალისა და ძალით მუქარის გამოუყენებლობის პრინციპის დამკვიდრებას;

მხედველობაში იღებენ დეკლარაციის საერთაშორისო სამართლის პრინციპების შესახებ, რომლებიც შეიხება სახელმწიფოთა მეგობრულ ურთიერთობასა და თანამშრომლობას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების შესაბამისად, და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სხვა დებულებებს, რომ „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გადაწყვეტილებებს, რომლებიც გამოხატავს სახელმწიფოთა ნებას მკაცრად დაიცვან ძალის ან ძალით მუქარის გამოუყენებლობის პრინციპი;

ქმაყოფილებით აღნიშნავენ, რომ ძალის ან ძალით მუქარის გამოუყენებლობის პრინციპმა ხორცი შეისხა მრავალ ორმხრივ და მრავალმხრივ საერთაშორისო აქტში, ხელშეკრულებებში, შეთანხმებებსა და დეკლარაციებში;

შეახსენებენ ამასთან დაკავშირებით, რომ ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის მონაწილე სახელმწიფოებმა საბოლოო აქტში განაცხადეს, რომ განიხილავენ ერთიერთობა ყველა სახელმწიფოსთან განსხვავებლად ამ აქტში ჩამოყალიბებული უმაღლესი მნიშვნელობის პრინციპების სულისკვეთებით, რომელთა შორის ძალის ან ძალით მუქარის გამოუყენებლობის პრინციპს თავისი შესაფერისი ადგილი უკავია;

შეახსენებენ აგრეთვე, რომ მიუმხრობელმა სახელმწიფოებმა თავიანთ უმაღლეს ფორუმებზე მოითხოვეს მკაცრად დაიცვან საერთაშორისო ურთიერთობაში ძალის ან ძალით მუქარის გამოუყენებლობის პრინციპი;

შთაგონებული არიან მისწრაფებით, რომ უარის თქმა საერთაშორისო ურთიერთობაში ნებისმიერი იარაღის მეშვეობით ძალის გამოყენებასა და მისი გამოყენებით მუქარაზე გადაიქცეოს საერთაშორისო ცხოვრების კანონად,

შეთანხმდნენ შემდეგზე:

მუხლი I

1. მაღალი ხელშემკვრელი მხარეები ზუსტად შეასრულებენ თავიანთ ვალდებულებას, რომ არ გამოიყენონ ერთმანეთს შორის, აგრეთვე საერთად თავიანთ საერთაშორისო ურთიერთობაში ძალა ან ძალით მუქარა როგორც ნებისმიერი სახელმწიფოს ტერიტორიული ხელშეუვალობისა თუ პოლიტიკური დამოუკიდებლობის წინააღმდეგ, ისე რაიმე სხვა სახით, რომელიც არ შეესაბამება გაერთიანებული ერების მიზნებს.

ამის შესაბამისად ისინი თავს შეიკავებენ შეიარაღებული ძალების გამოყენებისაგან ნებისმიერი სახეობის იარაღის, მათ შორის ატომური და მასობრივი მოსპობის სხვა სახეობის იარაღის გამოყენებით, ხმელეთზე, ზღვაში, ჰაერსა და კოსმოსურ სივრცეში, აგრეთვე არ დაიმუქრებიან ასეთი გამოყენებით.

2. ისინი თანახმა არიან არ დაეხმარონ, არ წაახალისონ და არ წაეკეზონ რომელიმე სახელმწიფო ან სახელმწიფოთა ჯგუფი ძალის გამოყენებისა ან მისი გამოყენებით მუქარისათვის ამ ხელშეკრულების დებულებათა საწინააღმდეგოდ.

3. არავითარი მოსაზრება არ გამოდგება იმისათვის, რომ დაასაბუთონ ძალით მუქარა ან მისი გამოყენება ამ ხელშეკრულების ვალდებულებათა საწინააღმდეგოდ.

მუხლი II

მაღალი ხელშემკვრელი მხარეები აფასებენ თავიანთ ვალდებულებას ერთმანეთს შორის დავა გადაწყვიტონ მშვიდობიანი საშუალებებით ისე, რომ საფრთხე არ შეუქმნან საერთაშორისო მშვიდობასა და უშიშროებას.

ამ მიზნით ისინი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების შესაბამისად გამოიყენებენ ისეთ საშუალებებს, როგორიც არის მოლაპარაკება, შუამავლობა, შერიგება, არბიტრაჟი, სასამართლო გარჩევა, ან სხვა მშვიდობიანი საშუალებები მათთა საკუთარი არჩევანისამებრ, მათ შორის მოწესრიგების ნებისმიერი შეთანხმებული პროცედურა.

მაღალი ხელშემკვრელი მხარეები თავს შეიკავებენ აგრეთვე ყოველგვარი მოქმედებისაგან, რომელმაც შეიძლება იმდენად გაუარესოს მდგომარეობა, რომ საფრთხე შეექმნას საერთაშორისო მშვიდობასა და უშიშროებას, და ამით კიდევ უფრო გააძნელოს დავის მშვიდობიანი მოწესრიგება.

მუხლი III

ეს ხელშეკრულება არაფრით არ ლახავს სახელმწიფოთა უფლებებსა და მოვალეობებს, რომლებიც გამომდინარეობს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ წესდებიდან და მათ მიერ წინათ დადებული ხელშეკრულებებიდან.

მუხლი IV

მაღალი ხელშემკვრელი მხარეები ყოველ ღონეს იხმარენ სამხედრო დაპირისპირების შემცირებისა და განიარაღებისათვის ეფექტიანი ღონისძიებების განსახორციელებლად, რომლებიც წინგადადგმული ნაბიჯი იქნებოდა საბოლოო მიზნის — მკაცრ და ეფექტიან საერთაშორისო კონტროლს დაქვემდებარებული საყოველთაო და სრული განიარაღების მიღწევის მიმართულებით.

მუხლი V

თვითეული მაღალი ხელშემკვრელი მხარე განიხილავს საკითხს, თუ რა ღონისძიებები უნდა იხმაროს თავისი კონსტიტუციური წყობის შესაბამისად იმისათვის, რომ უზრუნველყოს ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების რაც შეიძლება სრული განხორციელება.

მუხლი VI

ეს ხელშეკრულება უვადოა.

მუხლი VII

ეს ხელშეკრულება:

1) ღიაა ხელმოსაწერად მსოფლიოს ნებისმიერი სახელმწიფოსათვის ნებისმიერ დროს;

2) უნდა დამტკიცონ ხელმოწერმა სახელმწიფოებმა; სარატიფიკაციო სიგელები შესანახად გადაეცემა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს, რომელიც ამ ხელშეკრულებით დეპოზიტარად ინიშნება;

3) თვითეული ხელშემკვრელი მხარისათვის ძალაში შედის იმ მომენტიდან, როცა იგი სარატიფიკაციო სიგელს შესანახად გადასცემს დეპოზიტარს.

დეპოზიტარი დაუყოვნებლივ აცნობებენს ხელშეკრულების ხელმოწერ ყველა სახელმწიფოს მთავრობებს ყოველი ხელმოწერის თარიღსა და ყოველი სარატიფიკაციო სიგელის შესანახად ჩაბარების თარიღს.

მუხლი VIII

ეს ხელშეკრულება, რომლის რუსული, ინგლისური, ესპანური, ჩინური და ფრანგული ტექსტები თანაბრად autentიკურია, შეინახება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამდივნოში. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი ამ ხელშეკრულების დამოწმებულ პირებს დაუგზავნის ხელმომწერი სახელმწიფოების მთავრობებს.

მშვიდობისა და უშიშროებისათვის

გენერალური ასამბლეის სესია



ნიუ-იორკი, (საკდესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის კ. ვალდჰაიმის მოხსენებაში, რომელიც აქ გამოქვეყნდა, ხაზგასმულია, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს საყოველთაო მშვიდობის შენარჩუნებისათვის საერთაშორისო უშიშროების განმტკიცების დეკლარაციას, რომელიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ მიიღო სსრ კავშირის ინიციატივით.

თავის საგარეო პოლიტიკაში, რომლის მიზანია მშვიდობის, საერთაშორისო უშიშრების განმტკიცება, სახელმწიფოთა შორის მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპის დამკვიდრება, საბჭოთა კავშირი ხელმძღვანელობს სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებებით, ყრილობისა, რომელმაც მიიღო მშვიდობისა და საერთაშორისო თანამშრომლობისათვის, ხალხთა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის შემდგომი ბრძოლის პროგრამა, ნათქვამია სსრ კავშირის ინფორმაციაში, რომელიც შეტანილია მოხსენებაში.

საბჭოთა კავშირმა, რომელიც ცდილობს კიდევ მეტად შეანელოს ომის საფრთხე, განამტკიცოს საერთაშორისო მშვიდობა და უშიშრება, ნათქვამია შემდეგ, წამოაყენა საერთაშორისო ურთიერთობაში ძალის გამოუყენებლობის მსოფლიო ხელშეკრულების დადების წინადადება. ეს წინადადება მიზნად ისახავს საერთაშორისო ცხოვრების უცილობელ კანონად გადაიქცეს სახელმწიფოთა ურთიერთობაში სადავო საკითხების გადასაწყვეტად ძალის გამოყენებაზე უარის თქმა.

სხვა სოციალისტურ სახელმწიფოთა ინფორმაციაში ხაზგასმულია, რომ ისინი თანამიმდევრულად უჭერენ მხარს ყველა კონსტრუქციულ საერთაშორისო ინიციატივას, რომელთა მიზანია გლობალური მასშტაბით ომის საფრთხის შემცირება და ისეთი პირობების შექმნა, რომლებიც ხელს უწყობენ პროგრესს საყოველთაო და სრული განიარაღების საქმეში. ერთ-ერთი ასეთი ინიციატივა, აღნიშნულია პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ინფორმაციაში, — ეს არის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXV ყრილობის ტრიბუნიდან გამოთქმული წინადადება, რომ დაიდოს საერთაშორისო ურთიერთობაში ძალის გამოუყენებლობა, საერთაშორისო ხელშეკრულება. რომლის მონაწილენი ვალდებულებას იკისრებენ თავი შეიკავონ და არ გამოიყენონ არავითარი სახეობის იარაღი, მათ შორის არც ატომური იარაღი, სადავო საკითხების გადასაწყვეტად.

საერთაშორისო უშიშროების განმტკიცების დეკლარაციას მაღალი შეფასება მისცეს ბევრი ბერი ქვეყნებისა, ხელმწიფოს მთავრობებმა.

კიპროსის მთავრობას მტკიცედ სწამს, რომ დეკლარაციის პრინციპები და დებულებანი უნდა განხორციელდეს საერთაშორისო უშიშროების საკითხებში წესდების ეფექტიანი დაცვის საფუძველზე. ტრაგედია, რომელიც გამოიწვია აგრესიამ ისეთი პატარა ქვეყნის წინააღმდეგ, როგორიც კვიპროსია, აფასტურებს, რომ არ არსებობს საერთაშორისო უშიშრება, რასაც სერიოზული შედეგები შეიძლება მოჰყვეს ამ რეგიონის და მთელი მსოფლიოს ქვეყნებისათვის, ნათქვამია კვიპროსის ინფორმაციაში.

ლიბიის არაბთა რესპუბლიკა აცხადებს, რომ მხარს უჭერს ხალხთა თვითგამორკვევის უფლებას და სხვა სახელმწიფოების საშინაო საქმეებში ჩაურევლობის პრინციპს, რაც, ლიბიის აზრით, განამტკიცებს საერთაშორისო მშვიდობასა და უშიშროებას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დეკლარაციის სულისკვეთებით. კაჯარის სახელმწიფოს მთავრობა თავის ინფორმაციაში ხაზს უსვამს, რომ საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცებისათვის საჭიროა მოსპონ კოლონიალიზმი და ყველა ფორმის რასობრივი დისკრიმინაცია და აპარტეიდი და ცნონ პალესტინელი და აფრიკელი ხალხების თვითგამორკვევის უფლება.

ᲓᲘᲯᲘᲢᲐᲚᲘ

ᲑᲠᲫᲝᲚᲔᲑᲘ ᲛᲗᲘᲐᲜ ᲠᲐᲘᲝᲜᲔᲑᲨᲘ

ბეირუთი, (საკდესი). როგორც ლიბანონის გაზეთები იუწყებიან, პალესტინელთა რაზმებმა წარმატებათ მოიგერიეს სირიელებისა და მემარჯვენე ქრისტიანული ძალების პირველი იერიშები მთებში. გაზეთების აზრით, ეს ბრძოლები ნიშნავს „მთიანი ლიბანისათვის ომის დაწყებას“ და ომის ახალ ცდას, რომ სიმხეცრო ძალით დათრგუნონ ეროვნულ-პატრიოტული ძალები და პალესტინის წინააღმდეგ-ომის მოძრაობა.

გაზეთი „ალ-მუჰარირი“ წერს, რომ ეროვნულ-ლიბერალური პარტიის ლიდერი შამუნი 27 სექტემბერს მთელი ღამის განმავლობაში მოლაპარაკებს აწარმოებდა სირიელ პოლკოვნიკ ჰოლისთან, რის შემდეგ დილაადრიან დაიწყო სირიელებისა და მემარჯვენეების შეტევა.

ბეირუთში გაიმართა ლიბანის ეროვნულ-პატრიოტული ძალების ცენტრალური პოლიტიკური საბჭოს სხდომა, რომელზეც განიხილეს სიმაარი მოქმედების ესკალაციისა და სირიელთა შეტევის საკითხი.

როგორც ვმ ამტკიცებენ, „მოეგბში გაჩაღებულმა ომმა“ უაღრესად ძნელი ვითარება შეუქმნა ლიბანის ახალ პრეზიდენტს სარკისს და ჩაშალა მის მიერ დაწყებული პოლიტიკური მოლაპარაკება და კონსულტაციები, რომელთა მიზანი იყო ცეცხლის შეწყვეტა და ლიბანის კრიზისის მოწესრიგების გზების გამოძებნა.

დამასკო. (საკდესი). როგორც სირიის გაზეთი „ალ-ბაასი“ იუწყება, „სირიელმა და პროსირიელმა ჯარებმა „ხელთ იგდეს ეროვნულ-პატრიოტული ძალებისა და პალესტინის წინააღმდეგ-ომის მოძრაობის ზოგიერთი მთავარი პოზიცია ლიბანის მთიან რაიონებში.

□

„ლოქჰიდის საქმის“ გარშემო

ბონი. აქ ოფიციალურად გამოაცხადეს, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობამ გადაწყვიტა სპეციალური „სამუშაო კომიტეტი“ შექმნას იმ დოკუმენტების შესასწავლად, რომელიც ამერიკის საავიაციო კომპანიის „ლოქჰიდის“ საქმიანობას შეეხება. ეს დოკუმენტები, ამ დღეებში ხელმოწერილი შეთანხმების შესაბამისად, ბონს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ უნდა გადასცეს. „სამუშაო კომიტეტის“ შემადგენლობაში შეიყვანენ ოფსტიციის, თავდაცვისა და ფინანსთა სამინისტროების წარმომადგენლები.



ᲙᲐᲜᲐᲓᲐ

ᲙᲐᲜᲐᲓᲘᲡ მოსახლეობის ფართო ფენები სულ უფრო მზარდ უკმაყოფილებას გამოთქვამენ ცხოვრების სისტემატური გაძვირებას, კერძოდ, სახალხო მოხმარების საქონლის ფასების განუწყვეტელი ზრდის გამო. ამას წინათ ტორონტოში გაიმართა მასობრივი დემონსტრაცია (სურათზე), რომელშიც 14 ათასზე მეტი მუშა და მოსამსახურე მონაწილეობდა. მათ მოითხოვეს ხელფასის მომატება და შრომის პირობების გაუმჯობესება, აგრეთვე პროფკავშირული ორგანიზაციებისათვის მეტი უფლებების მინიჭება.

საკდესის ფოტო.

ᲘᲢᲐᲚᲘᲐ: ᲓᲦᲘᲡ ᲜᲔᲡᲠᲘᲒᲨᲘᲐ ᲛᲬᲕᲐᲕᲔ ᲙᲐᲛᲐᲗᲘ

რომი. (საკდესი). აქ მუშაობა დაიწყო იმედმინარე ღლის ივნისში არჩეული პარლამენტიც ორივე პალატამ.

პარლამენტის ვადამდელი არჩევნები, როგორც ცნობილია, აღინიშნა კომპარტიის დიდი წარმატებით, იტალიის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში მისი წარმომადგენლობის მნიშვნელოვანი ზრდით, მემარცხენე ძალების პოზიციების საერთო განმტკიცებით. პარლამენტის ახლანდელ შემადგენლობაში იტალიის კომპარტია წარმოდგენილია 228 დეპუტატით და 118 სენატორით. კომუნისტები სათავეში უდგანან პარლამენტის დიდმნიშვნელოვან კომისიას. დეპუტატთა პალატის თავმჯდომარე გახდა კომუნისტი ჯ. ცენტრარო. ასეთ პირობებში, წარენ გაზეთები, პარლამენტში უფრო ხელშემწყობი ვითარება შეიქმნა საიმისოდ, რომ კონსტრუქციულად გადაიჭრას ქვეყნის წინაშე მდგომი ბევრი ძნელი პოლიტიკური, ეკონომიური და სოციალური პრობლემა.

დეპუტატთა პალატამ და სენატმა 1977 საფინანსო წლის ბიუჯეტის პროექტისა და სხვა ეკონომიური კანონპროექტების განხილვის პროცესში უნდა ეძებონ უმუშევართა არმიის შემცირების გზები, რომელთა რიცხვი უკანასკნელი ნახევარი წლის მანძილზე 1,7 პროცენტით გაიზარდა.

ქრისტიან დემოკრატთა ერთპარტიულმა მთავრობამ, რომელსაც ჯ. ანდრეოტი მეთაურობს, არჩევნების შედეგად შეცვლილი პოლიტიკური ძალების თანაფარდობის გავლენით თავის პროგრამაში მთელი რიგი კონკრეტული ვალდებულებანი შეიტანა. იგი ითვალისწინებს, კერძოდ, ღონისძიებებს, რომ უზრუნველყონ ახალგაზრდობის შრომითი მოწყობა, აღკვეთონ კაპიტალის უკანონო გატანა ქვეყნიდან, შეამცირონ სავაჭრო დეფიციტი, გარდაქმნან მრეწველობა.

ადგილობრივი მიმომხილველნი აღნიშნავენ, რომ პარლამენტში ამ გადაუდებელ ეკონომიურ ღონისძიებათა განხილვა მჭიდროდ არის დაკავშირებული იტალიის პოლიტიკურ სტაბილურობასთან და მმართველი კაბინეტის ბედთან. ეს იმ ფაქტითაა გამოწვეული, რომ ალბადღელ მთავრობას უმრავლესობა არა ჰყავს პარლამენტში, ხოლო ნეიტრალურ პოზიციებზე მდგომი პოლიტიკური პარტიების უმრავლესობა თავის დამოკიდებულებას მოაურბისადმი უშუალოდ უკავშირებს იმას, შეძლებს თუ არა ახლანდელი კაბინეტი ეკონომიურ დარგში დადებული პირობის შესრულებას.

მშობლიურო ხევო მიდავ!...

იმერული ქარმიდავო

ბ. დადვაძის ფოტო.

სტიქიის ძალებს ძლევენ

თელავი. ამინდის პროგნოზი იმ დღისათვის სანუგეშო ვერ იყო: 20 საათიდან ალაზანს ველზე მოსალოდნელი იყო ეგრეთწოდებული ცივი ფრონტის გავლა. ამას შეიძლება სეტყვა მოჰყოლოდა. ჭაიცა ბრძანება დაუყოვნებლივ მოემზადებინათ სეტყვასაწინააღმდეგო სამსახურის ყველა სარაკეტო საგუშაგო ალაზნის ველზე.

20 საათსა და 45 წუთზე საგარეჯოს რაიონის ტერიტორიაზე პირველი სეტყვის ღრუბელი გამოჩნდა — „ცივი ფრონტის" მაცნე. მალე კახეთის ტერიტორიაზე წარმოიქმნა ჭრცელი სეტყვასაშიში კერა. 27 ყველზე მძლავრი სეტყვასაშიში ღრუბლის წარმონაქმნი 12 კილომეტრზე მეტ სიმაღლეზე თელავ-კურდღელაურის მიმართულებით დაიძრა.

საჭირო იყო სასწრაფოდ დაეწუშავებინათ განსაკუთრებული სამშიში სეტყვასაწინააღმდეგო კერები. სპეციალისტებმა სწრაფად მოახდინეს საჭირო გაანგარიშება, ჭაიცა ბრძანება: „ცეცხლი!" სეტყვასაწინააღმდეგო რაკეტების სერია ღრუბლებისაკენ ჭაიჭრა. „ცივი ფრონტი" დაძლიეს. სეტყვა წვიმად იქცა, რის მეოხებითაც გადარჩნენ ქარიხეფერი ყურძნით დახუნძლული ვაზები.

რესპუბლიკის სეტყვასაწინააღმდეგო სამსახურის უფროსმა, სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატმა, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატმა ა. ქარციკიძემ განაცხადა, რომ ყველა მერაკეტემ სეტყვასთან ბრძოლაში კარგად გამოიჩინა თავი. მაგრამ განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს როსანაპირის ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში არიან შ. ციხკარიშვილი, ტ. ბერიშვილი, ლ. ყორიშვილი, ნ. სოლომნიშვილი, ნ. სომბაძე და სხვები. სწორედ მათ მოუწევთ ყველაზე მძიმე ბრძოლის გადახდა.

წელს ამინდი როდი ანებივრებდა კახელ მშრომელებს. სეტყვასაწინააღმდეგო სამსახურის მუშაკებმა ბევრი მძიმე ბრძოლა ჩაატარეს სეტყვის წინააღმდეგ. მაგრამ ისეთი ბრძოლა, როგორიც წინა კვირაში ჰქონდათ, მათ არ ახსოვთ.

(საქინფორმი).

ᲔᲡ ᲡᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲝᲐ

ᲓᲘᲐᲒᲜᲝᲖᲘ 10 ᲬᲐᲛᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ

ლატვიის მეურნეობებმა მიიღეს ახალი დიაგნოსტიკური საშუალების „ნასტიდინის" პირველი პარტია, რომლის საშუალებითაც უტყუარად განისაზღვრება ძროხის სარძევე ჯირკვლების ანთების დასაწყისი სტადიაც კი, დიაგნოზის დადგენისათვის საკმარისია ერთი წვეთი პრეპარატი შეიყვანონ რძეში და ათი წამის შემდეგ სურათი ნათელი ხდება.

პრეპარატი შეიმუშავა ლატვიის მეცხოველეობისა და ვეტერინარიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ექსპერიმენტული საწარმოო ლაბორატორიის კოლექტივმა საბჭოთა კავშირის ვეტერინარული სანიტარიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერებთან თანამეგობრობით. ახლა დაწყებულია მისი მასობრივი გამოშვება.

სიუულდის ექსპერიმენტულმა ლაბორატორიამ შეიმუშავა და წარმოებაში დანერგა 30-მდე ვეტერინარული პრეპარატი. თავისი დანიშნულება გაამართლა პროფილაქტიკიაა და მკურნალობის ისეთმა საშუალებამ, როგორიცაა „მასტისანი". ყოველწლიურად ლაბორატორია აწარმოებს პრეპარატის შვიდ-რვა მილიონ დოზას და აწვდის ბალტიისპირეთს, ბელორუსიას, უკრაინას, რუსეთის სფსრ-ს.

მალე აქ დაიწყებენ მადეზინფექციერებელი ემულსიის გამოშვებას. მეცნიერება ეძებენ სამკურნალო პრეპარატების გამოყენების ახალ ხერხებს, მაგალითად, აეროზოლიანი შესაფუთებით, რაც მკვეთრად ამაღლებს ვეტერინართა შრომის ნაყოფიერებას. (საკდესის კორ.).

რიგა.

გვიწოვევენ გრიბოედოველები

ᲙᲘᲜᲝᲤᲘᲚᲘᲡ ᲓᲦᲔᲔᲑᲘ — ᲤᲘᲥᲠᲔᲑᲘ, ᲒᲔᲒᲛᲔᲑᲘ

დღეს, 1 ოქტომბერს თბილისის ა. გრიბოედოვის სახელობის სახელმწიფო რუსული დრამატული თეატრი ახალ სეზონს ხსნის. გაზეთ „კომუნისტის" კორესპონდენტი ესაუბრა თეატრის დირექტორს, საქართველოს სსრ დამსახურებულ არტისტს **ოთარ პაპიტაშვილს,** რომელმაც თქვა:

— წლევანდელი სეზონის წინ გრიბოედოვის თეატრს ლატვიაში მეტად საინტერესო საგასტროლო მოგზაურობა ჰქონდა. გამოვეფინთ დაუგავსა და რიგაში. წარმოვადგინეთ რვა სპექტაკლი, ჩვენი საუკეთესო დადგმები. ლატვიელმა მაყურებელმა ინტერესით მიიღო ა. ჩხაიძის „როცა ქალაქს სძინავს", ი. დვორეცკის „გაციცლება", ვ. შუკშინის „თვალსაზრისი", „ენერგიული ადამიანები", მ. როზოვსკის და ი. რიაშენცევის „სამი მუშკეტერი", ბ. გორინის „დაივიწყე ჰეროსტრატე" და სხვ. სპექტაკლებისაგან თავიანთუფალ დროს რამდენიმე შეხვედრა გვქონდა საწარმოთა მშრომელებთან და სამხედრო ნაწილების მეომრებთან. პრესამ ჩინებულად შეაფასა ჩვენი კოლექტივის გასტროლები და არაერთი საინტერესო რეცენზია მიუძღვნა

□

ᲝᲫᲘᲡᲝᲑᲐᲨᲘ ᲥᲡᲜᲘᲡ ᲮᲔᲝᲑᲐᲨᲘ

გასულ კვირას კვლავ გაიმართა ტრადიციული ღღესასწაული თბილისობა. გამოჩენილი ქართველი მწერლების გიორგი და დავით ერისთავების ხსოვნის პატივსაცემად მათ კარ-მიდამოში მოვიდნენ ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწენი დედაქალაქიდან, მოსწავლე-ახალგაზრდობა, მშრომელები დუშეთიდან, მეზობელი რაიონებიდან.

შეკრება გახსნა პარტიის დუშეთის რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგემ ბ. არუთინოვმა. მოხსენება გააკეთა პროფესორმა ს. ხუციშვილმა. გამოვიდნენ საქართველოს სსრ სახალხო არტისტი მ. გრიბოედოველთა სპექტაკლებს. დაუგავსპილის ალმასყიმმა და პარტიის საქალაქო კომიტეტმა საპატიო სიგელებით დაგვაჯილდოვა. ასევე სიგელი გადმოგვცა ლატვიის სსრ კულტურის სამინისტრომ.

ღღეს ჩვენს თეატრში ახალი სეზონი იხსნება. წარმოვადგენთ ი. დვორეცკის „გაცილებას".

ჩვენი სარეპერტუარო აფიშა მალე ახალი სპექტაკლებით შეივსება. მაყურებელი იხილავს მ. როშჩინის „რემონტს," ა. ჩხაიძის ახალ პიესას „თავისუფალ თემას", რომელიც ახალგაზრდობის აღზრდის პრობლემებს ეძღვნება. რეჟისორი ა. ტოვსტონოგოვი ამზადებს ბოლონელი დრამატურგის ეჟი იურანდოტის „მეცხრე ზმანდას". ვუჩვენებთ ოგრეთვე ო. ჩიჯავაძის „შვილებს" და სხვ.

ახალი სეზონი ჩვენთვის იმითაც არის განსაკუთრებული, რომ წლის ბოლოსათვის გათვალისწინებულია ჩვენს მუდმივ რეზიდენციაში გადასვლა: თეატრის ახალი შენობის მშენებლობა დასასრულს უახლოვდება და, ეხადია, მთელი ჩვენი შემოქმედებითი კოლექტივი მღელვარებით ელოდება ახალმოსახლეობას.

□

ᲠᲝᲒᲝᲠᲘ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘ

დასავლეთ საქართველოში ჰაერის საშუალო თვიური ტემპერატურა დაბლობ რაიონებში მოსალოდნელია 14-16, მთიან რაიონებში 10-12, მაღალმთიან რაიონებში 5-8 გრადუსის ფარგლებში, რაც ნორმაზე დაბალი იქნება ერთი გრადუსით.

ნალექების თვიური ჯამი ჩრდილო რაიონებში ნორმაზე ნაკლები იქნება; სამხრეთ რაიონებში — ნორმის ფარგლებში, ალაგ-ალაგ ნორმაზე მეტი.

1-10 ოქტომბერი — დეკადის პირველ ნახევარში ცვალებადი მოღრუბლულობა, დროგამოშვებით წვიმა, მაღალმთიან რაიონებში ალაგ-ალაგ თოვლი, ელქეიმი, მეორე ნახევარში უმეტესად მეტრერღრუბლიანი მშრალი ამინდი. ტემპერატურა — დაბლობ რაიონებში დეკადის შუა ნაწილში დღისით 12-17, დანარჩენ დროს დღისით 23-28; მთიან რაიონებში დეკადის შუა ნაწილში დღისით 7-12, დანარჩენ დროს 18-23 გრადუსი.

11-20 ოქტომბერი — ცვალებადი მოღრუბლულობა, დეკადის დასაწყისში შიდა დაბლობ რაიონებსა და მთებში ხანმოკლე წვიმა. ტემპერატურა — დაბლობ რაიონებში დღისით 22-27, მთიან რაიონებში 20-25 გრადუსი.

21-31 ოქტომბერი — ცვალებადი მოღრუბლულობა, დეკადის ბოლოს ალაგ-ალაგ ნალექი და ნისლი. ტემპერატურა დაბლობ რაიონებში დღისით 21-26, დეკადის ბოლოს ტემპერატურა დაიწევს 16-21 გრადუსამდე, მთიან რაიონებში დღისით 20-25, დეკადის ბოლოს 12-17 გრადუსი იქნება.

აღმოსავლეთ საქართველოში — ჰაერის საშუალო თვიური ტემპერატურა ქართლის ვაკის დასავლეთ ნაწილში მოსალოდნელია 10-11 გრადუსის ფარგლებში, ნორმაზე დაბალი ერთი-ერთნახევარი გრადუსით, დანარჩენ დაბლობ რაიონებში 11-14, მთიან რაიონებში 8-10, მაღალმთიან რაიონებში 5-6 გრადუსის ფარგლებში, ნორმაზე დაბალი ერთ გრადუსამდე.

ნალექების თვიური ჯამი ქართლის ვაკის დასავლეთ რაიონებში იქნება ნორმის ფარგლებში, დანარჩენ რაიონებში ნორმაზე ნაკლები.

1-10 ოქტომბერი — ცვალებადი მოღრუბლულობა, დეკადის პირველ ნახევარში დროგამოშვებით წვიმა, მაღალმთიან რაიონებში ალაგ-ალაგ თოვლი. ტემპერატურა — ქართლის დასავლეთ რაიონებში და ზამთრის საძოვრებზე დეკადის შუა ნაწილში ღამით სამი გრადუსი ყინვა, 2 გრადუსი სითბო. დღისით 10-15, დანარჩენ დროს ღამით 3-8, დღისით 17-22; დანარჩენ დაბლობ რაიონებში დეკადის შუა ნაწილში დღისით 12-17, დანარჩენ დროს 20-23 გრადუსი; მთიან რაიონებში დეკადის შუა ნაწილში დღისით 8-13, დანარჩენ დროს 16-21 გრადუსი.

11-20 ოქტომბერი — უმეტესად მეცრეღრუბლიანი მშრალი ამინდი. ტემპერატურა ქართლის ვაკის დასავლეთ რაიონებში და ზამთრის საძოვრებზე დღისით 18-23, დანარჩენ დაბლობ რაიონებში 21-26; მთიან რაიონებში დღისით 16-21 გრადუსი.

21-31 ოქტომბერი. ცვალებადი მოღრუბლულობა, დეკადის მეორე ნახევარში ალაგ-ალაგ ნალექი და ნისლი. ტემპერატურა ქართლის დასავლეთ რაიონებში და ზამთრის საძოვრებზე დღისით 17-22, დეკადის ბოლოს დღისით 8-13 გრადუსამდე, დანარჩენ დაბლობ რაიონებში დღისით 19-24, დეკადის ბოლოს დღისით 9-14 გრადუსი. მთიან რაიონებში დღისით 16-21, დეკადის ბოლოს ტემპერატურა დაიწევს დღისით 6-11 გრადუსამდე.

ვ. გოგოტიშვილი,
თბილისის ამინდის ბიუროს უფროსი ინჟინერ-სინოპტიკოსი.

ᲥᲐᲚᲗᲐ ᲨᲔᲠᲘᲡ

ᲓᲦᲔᲡ ᲭᲐᲓᲠᲐᲙᲘᲡ ᲡᲐᲡᲐᲮᲚᲔᲨᲘ

დღეს, 19 საათზე ჭადრაკის სასახლეში საზეიმოდ იხსნება საბჭოთა კავშირის პირველობა ქალთა შორის. შეჯიბრების მთავარი მსაჯი, საერთაშორისო არბიტრი და საერთაშორისო ოსტატი კირა ზვორიკინა ჩაატარებს წილისყრას, ხვალ კი პირველი ტური გაიმართება.

ჩვენ უკვე გაგაცანით შეჯიბრების შემადგენლობა, რომელიც როგორც მოგეხსენებათ, მეტად ძლიერია. მოხდა მხოლოდ ერთი ცვლილება: საერთაშორისო ოსტატმა მარტა ლიტინსკაიამ (შულმა) თავი შეიკავა ტურნირში მონაწილეობისაგან, რაც, ეტყობა, მოახლოებულია **ხაზინათაშორისი შეჯიბრებით** უნდა **აიხსნას.** მის ნაცვლად შეჯიბრებაში ჩაებმევა კარგად ცნობილი ახალგაზრდა საერთაშორისო ოსტატი ესთერ ეპშტეინი (გორკი). ეპშტეინი ყოველწლიურად მონაწილეობს ქალთა საერთაშორისო ტურნირებში, რომელსაც რუსეთის საჭადრაკო ფედერაცია აწყობს და ჩინებული შედეგებიც აქვს.

მაშ ასე, ხვალიდან 18 უძლიერესი მოჭადრაკე ებმება ბრძოლაში, რომელიც უთუოდ მეტად საინტერესო უნდა გამოდგეს.

ᲨᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲗᲘ ᲞᲝᲠᲢᲠᲔᲢᲔᲑᲘ

მომავალი წინაპრის

უკანასკნელ რესპუბლიკურ საჭადრაკო ჩემპიონატში ქალთა შორის მეექვსე თავისებური და, უნდა ითქვას, უნიკალური სიტუაცია. პირველობის 18 მონაწილიდან ორი მესამედი — თორმეტი — სხვადასხვა დროს ერთი მწვრთნელის — შოთა ინწკირველის ხელმძღვანელობით ვარჯიშობდა. ასე რომ, ამაგდარმა მწვრთნელმა აღარ იცოდა, ვისი გულშემატკივარი ყოფილიყო. ბოლოს სწორედ მისმა აღზრდილებმა, ოსტატობის კანდიდატებმა ციცინო კახაბრიშვილმა და ნინო გურიელმა გაიყვეს პირველი-მეორე ადგილები. ამასთან განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო 15 წლის ნინო გურიელის მორიგმა წარმატებამ. მართლაც და, ამ ბოლო წლების მანძილზე ჩვენნაგამოთხვევებმა ბევრი რამ კარგი შეიტყვეს ამ ნიჭიერი გოგონას შესახებ. იგი წარმატებით მონაწილეობს რესპუბლიკურ, საკავშირო და საერთაშორისო შეჯიბრებებში, ტურნირიდან ტურნირამდე ხვეწს საკუთარ ხელოვნებას.

როდესაც ნინო გურიელზეა ლაპარაკი, ძნელია საქართველოს სსრ დამსახურებულ მწვრთნელზე — შოთა ინწკირველზე უკეთესი თანამოსაუბრე იპოვო, თუნდაც იმიტომ, რომ ამ რამდენიმე წლის წინათ მშობლებმა ნორჩი ნინო სწორედ ამ სპეციალისტთან მიიყვანეს.

— თქვენ, რა თქმა უნდა, გახარებული ხართ იმით, რომ ნინო წლეულს უკვე მეორედ გაგიტანია საკავშირო ჩემპიონატის ფინალში, სადაც მსოფლიოს უძლიერესი მოჭადრაკეები ითამაშებენ. თუ შეიძლება, ორიოდე სიტყვით დაახასიათეთ მისი თამაში?

— ნინო თავიდანვე დიდ ყურადღებას იპყრობდა იშვიათი გამჭრიახობით, ინიციატივის გრძნობით, შეტევითი თამაშისადმი მიდრეკილებით. ნორჩ მოჭადრაკეს ჭადრაკის არსად იერიში მიიჩნია. მაშინ, როცა შეტევის საშუალება არა აქვს, აშკარად ნაკლები ინტერესით თამაშობს.

— ეიაბ, მაგრამ მხოლოდ შეტევითი თამაშით ხომ არ შეიძლებოდა ისეთი შედეგების მიღწევა, როგორიც ნინოს აქვს.

— რა თქმა უნდა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ დღეისათვის ნინოს აქვს კარგად დამუშავებული საბრძოლო რეპერტუარი, იგი დაეუფლა პოზიციური თამაშის პრინციპებსაც, მაგრამ, ვიმეორებ, მისი ნამდვილი გატაცება მაინც შეტევა და დაცვითი „ჯებირების" გადალახვაა. ნინო ძალიან ხშირად თამაშობს პრინციპით, „კეისარი ან არაფერი!"

ჩვენ აქ არ გამოვუდგებით ნინო გურიელის სპორტულ მიღწევათა ჩამოთვლას. ვიტყვით მხოლოდ, რომ მის თამაშს მაღალი შეფასება მისცა ისეთმა გამოჩენილმა სპეციალისტმა, როგორიც დიდოსტატი იგორ ბონდარევსკი გახლავთ. და, რა თქმა უნდა, გამოვთქვამთ იმედს, რომ ისეთი ნიჭიერი და შრომისმოყვარე გოგონა, როგორიც ნინო გურიელია, მომავალშიც არაერთხელ გაახარებს ჩვენს გულშემატკივრებს.

ახლა კი გადავხედოთ ნორჩი მოჭადრაკის პარტიას, რომელიც მან შარშან დეკემბერში თბილისის ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირში ითამაშა. მისი მეტოქე

იყო ცნობილი საერთაშორისო ოსტატი, იუგოსლავიის ექს-ჩემპიონი ამალია პიპაილიჩი.

პიპაილიჩი — გურიელი

უფიმცევის დაცვა

1. e4 d6 2. d4 ∂f6 3. ∂c3 g6 4. f4 ∂g7 5. ∂f3 0-0 6. ∂e3 ∂c6 7. ∂d2 e5 8. fe de 9. d5 ∂b8 10. ∂c4 ∂bd7 11. 0-0-0 a6 12. h3 b5 13. ∂d3 ∂b7 14. g4 c5 15. g5 ∂h5 16. ∂hg1 ლa5 17. ∂e2 b4 18. ∂b1 ლ:a2 19. ∂h4 ∂f4 20. ∂g4 ∂fd8 21. ∂:d7 ∂:d7 22. ∂g2 ∂ad8 23. ∂:c5 ∂:d5! 24. ∂:f4 ef 25. ლ:b4 ∂b3! 26. ლ:b3 ∂:d1+ 27. ∂:d1 ∂:b2+ და თეთრები დანებდნენ.

ნინო გურიელმა მართლაც რომ მომხიბლავად წარმართა იერიში. ჯერ მან თავი მოუყარა მთელ ძალებს თეთრი მეფის წინააღმდეგ, შემდეგ კი, როგორც ეს კომბინაციური სტილის მოჭადრაკეს სჩვეოდა, უყოყმანოდ განახორციელა შეწირვების სერია და საბოლოოდ, როგორც ვხედავთ, ლამაზი გამარჯვება მოიპოვა.

გ. გამრეკელი.

ᲛᲝᲙᲚᲔᲓ

ᲧᲐᲚᲐᲥᲘᲡᲗᲕᲘᲡ. უმაღლესი ლიგის დებიუტანტმა — „მოსკვიჩის" გუნდმა გაიმარჯვა ალმა-ათაში დამთავრებულ საკავშირო პირველობის ტურნირში მეშვიდემეთორმეტე ადგილებისათვის. ბოლო ადგილზე გამოვიდნენ ალმა-ათის „ენერგია" და ლვოვის „დინამო", რომლებიც გამოეთიშნენ უმაღლეს ლიგას. მათ ნაცვლად უძლიერესთა რიგებს შეემატნენ მოსკოვის „ტორპედო" და ხარკოვის „ლოკომოტივი".

რიგბი. დასასრულს უახლოვდება უმაღლესი ლიგის საკავშირო ჩემპიონატი. გუნდებს ჩასაატარებელი დარჩათ თითო თამაში, რომლებიც გაიმართება 3 ოქტომბერს. თბილისის „ლოკომოტივი" მასპინძლობს მოსკოველ თანაკლუბელებს, ხოლო „ივერია" — გათამაშების ლიდერს — მოსკოვის ოლქის ვვა-ს, ახლა „ივერია" მაუთუე ადგილზეა, „ლოკომოტივი" — მეშვიდეზე.

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ

პირველ ლიგაში

გაიმართა „ა" კლასის პირველი ლიგის საკავშირო ჩემპიონატის მორიგი ტურის მატჩები ფეხბურთში. აი მათი შედეგები: „ნეფტჩი"-„ტერეკი" — 3:1; სკა-„კუბანი" — 3:0; „ტავრია"-„ელბრუსი" — 3:0; „ნისტრუ"-„კოლხოზჩი" — 1:0; „სპარტაკი" ი.-ფ.-„პამირი" — 3:1; „მეტალურგი"-„პამტაკორი" — 1:0; „დუბგავა"-„ალარატი" — 1:3; „კუზბასი"-„ზვეზდა" — 3:1.

ᲒᲐᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲘᲡ ᲪᲮᲠᲘᲚᲘ

„Ა" ᲙᲚᲐᲡᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲚᲘᲒᲐ

მდგომარეობა 1 ოქტომბრისათვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	გ.	ქ.
„ნეფტჩი"	31	18	9	4	56-25	45
„პირატი"	31	19	7	5	43-21	45
„ტავრია"	32	16	9	7	47-25	41
„პახტ."	31	15	10	6	50-21	40
„ნისტრუ"	31	11	13	7	41-30	35
„ტორპ."	32	11	13	8	38-30	35
„ზვეზდა"	32	12	10	10	44-39	34
„კუზბ."	31	13	6	12	47-44	32
„შინიკი"	31	13	6	12	34-31	32
„კოლხოზ."	31	12	7	12	50-50	31
სკა	32	11	9	12	34-35	31
„სპარტ." ი.-ფ.	31	11	9	11	35-38	31
„პამირი"	31	11	9	11	30-38	31
„მეტალ."	31	10	8	13	28-30	28
„სპარტ." ო.	31	8	11	12	32-45	27
„ტერეკი"	31	7	12	12	32-50	26
„რუბ."	31	5	15	11	32-44	25
„დუგა".	31	6	9	16	29-45	21
„კუბ."	31	7	7	17	25-50	21
„ელბრ."	31	4	5	22	25-61	13

ᲕᲘᲜ ᲨᲔᲫᲚᲔᲑᲐ „ᲓᲘᲜᲐᲛᲝᲡ"?

ᲓᲦᲔᲡ ᲪᲘᲣᲠᲘᲮᲘᲗ ᲬᲘᲚᲘᲡᲧᲠᲐᲐ

„საფეხბურთო ოთხშაბათს" ევროპის სამეფო საკლუბო ტურნირის ჯამთამაშების საპასუხო მატჩების შემდეგ გაირკვნენ გუნდები, რომლებიც ბრძოლას განაგრძობენ პრიზებისათვის.

მოულოდნელობა არ მომხდარა. ევროპის ჩემპიონთა თასის ჯამთამაშების მერვედფინალში კიევის დინამოელებთან ერთად გამოვლენ: ინგლისის „ლიეერპული", უნგრეთის „ფერენცვაროში", საფრანგეთის „სენტ-ეტიენი", ჰოლანდიის „ეინდჰოვენი", გფრ-ის „ბორუსია" და „ბავარია", ესპანეთის „რეალი", დრეზდენის (გდრ) „დინამო", შვეიცარიის „ციურიხი", ბელგიის „ბრიუგე", საბერძნეთის „პაოკი", იტალიის „ტორინო", თურქეთის „ტრაბზონსპორი", ჩეხოსლოვაკიის „ბანიკი" და ფინეთის „პალოსეიორა".

თასების მფლობელთან თასის ჯამთამაშებში თბილისის „დინამოსთან" ერთად მერვედფინალში, კერძოდ, ითამაშებენ: გფრ-ის „ჰამბურგი", ბელგიის „ანდერლეხტი", იუგოსლავიის „ჰაიდუკი", იტალიის „ნაპოლი", მადრიდის (ესპანეთი) „ატლეტიკო".

ცნობილ კლუბებს შორის უეფა-ს თასის ჯამთამაშების მეთექვსმეტედფინალში გამოვლენ გფრ-ის „კიოლნი", ჰოლანდიის „ფეინორდი", ინგლისის „კუინზ პარკ რეინჯერსი", „დერბი ქაუნტი" და „მანჩესტერ იუნაიტედი", ესპანეთის „ბარსელონა", იტალიის „იუვენტუსი".

შემდეგი ტურის წილისყრა 1 ოქტომბერს გაიმართება.

(საკდესის **კორ.**).

ᲑᲠᲘᲢᲐᲜᲔᲚᲘ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲘᲡ ᲐᲖᲠᲘ

საინტერესოა გაზეთ **„დეილი მირორის"** სპორტული მიმომხილველის **ტ. ლაიონენის** აზრი. იგი ესწრებოდა თბილისის „დინამოსა" და „კარდიფ-სიტის" შეხვედრას სხვა ბრიტანელ ჟურნალისტებთან ერთად.

— დინამოელები ინგლისის ფეხბურთელთა პირველი ლიგის გუნდების დონეზე თამაშობენ. ისეთი მოთამაშენი, როგორიც არიან ვ. გუცაევი, მ. მაჩაიძე, ფ. ყიფიანი, ზ. ებრალიძე, ინგლისის ყოველ გუნდს დაამშვენებდნენ. ტექნიკურად თბილისელები არ ჩამოუვარდებიან ჩვენი წამყვანი გუნდების მოთამაშეებს, მაგრამ ჩამორჩებიან დაცვის ორგანიზაციით. თქვენს ფეხბურთელებს ეუსურვებ შემდგომ წარმატებებს ამ საპატიო ჯილდოს ჯამთამაშებში.

სტუმრებმა ერთსულოვნად მაღალი შეფასება მისცეს ახალი სტადიონის არქიტექტურულ ღირსებებს. რაც შეეხება ფეხბურთის მოედანს, უილსელთან აზრით, საჭიროა დრო, რათა ეს მოედანი „დაეარგდეს". (საქინფორმი).

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲪᲜᲝᲑᲐᲠᲘ

თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი

ᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲡ ᲐᲡᲞᲘᲠᲐᲜᲢᲣᲠᲐᲨᲘ ᲕᲘᲦᲘᲡᲐᲡ 1976 ᲬᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲝᲑᲔᲑᲖᲔ:

ᲬᲐᲠᲛᲝᲒᲔᲑᲐᲡ ᲛᲝᲬᲛᲔᲑᲘᲗ:

1. მუსიკის სწავლების მეთოდიკა — 1 ადგილი,

ᲬᲐᲠᲛᲝᲒᲔᲑᲐᲡ ᲛᲝᲣᲬᲛᲔᲑᲚᲘᲗ:

1. მუსიკის სწავლების მეთოდიკა — 1 ადგილი

2. პედაგოგიკის თეორია და ისტორია — 1 ადგილი.

ᲛᲘᲖᲜᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲬᲔᲡᲘᲗ:

1. მათემატიკის სწავლებისას ტექნიკური საშუალებათა გამოყენების მეთოდიკა — 1 ადგილი (წარმოებას მოუწყვეტლივ).

წარმოებას მოწყვეტით ასპირანტურაში მიიღებიან არაუმეტეს 35 წლის, წარმოებას მოუწყვეტლივ — არაუმეტეს 45 წლის მოქალაქენი, რომელთაც აქვთ უმაღლესი განათლება, პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 2 წლის სტაჟი და მეცნიერული კვლევის უნარი.

უშუალოდ უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ასპირანტურაში მისაღებ გამოცდებზე დაიშვებიან ის პირნი, რომელთაც ექნებათ უმაღლესი სასწავლებლის (ფაკულტეტის) საბჭოს რეკომენდაცია.

ასპირანტურაში შემსვლელები აბარებენ მისაღებ გამოცდებს: სპეციალობაში, სკკპ ისტორიასა და ერთ-ერთ უცხო ენაში — უმაღლესი სასწავლებლის პროგრამის მიხედვით.

განცხადება ასპირანტურაში შესვლის შესახებ შემოტანილ უნდა იქნას ინსტიტუტის რექტორის სახელზე.

განცხადებები მიიღება ინსტიტუტის ასპირანტურის განყოფილებაში 1976 წლის 1 ოქტომბრიდან 25 ოქტომბრამდე. მისაღები გამოცდები — 12 ნოემბრიდან.

დაწვრილებითი ცნობებს მიღება შეიძლება მისამართით: თბილისი, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი № 32, ტელეფონი: 22-50-71.



თბილისის № 74 ტექნიკური სასწავლებელი

ᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲡ ᲓᲐᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲐᲡ 1976-1977 ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲝ ᲬᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲓᲐ ᲠᲣᲡᲣᲚ ᲔᲜᲐᲖᲔ:

სასწავლებელი ამზადებს:

1. მამაკაცის, ბავშვის ზედა ტანსაცმლის ინდივიდუალური კერვის სპეციალისტებს;

2. ქალისა და ბავშვის კაბების ინდივიდუალური კერვის სპეციალისტებს;

3. ქიმწმენდის მეპალტო, ლაქების ამომყვან სპეციალისტებს.

სასწავლებელში მიიღებიან 17-30 წლის საშუალო განათლების მქონე ახალგაზრდები, სწავლების ვადა ჩაეთვლებათ სამუშაო სტაჟად.

რაიონებიდან ჩამოსული ახალგაზრდები უზრუნველყოფილი იქნებიან საერთო საცხოვრებლით.

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება სასწავლებელში, ყოველდღე 9 საათიდან — 5 საათამდე.

სასწავლებლის მისამართი: თბილისი, 68, ხაჭარხნო რ-ნი, ჭიჭინაძის ქ. № 10. № 74 ტექ. სასწავლებელი. ავტობუსები: მეტრო — 26 კომბინატიდან № 51; მეტრო სამგორიდან № 10; კოლმეურნეობის მოედ. № 16. ტელეფონი: 71-15-66, 71-21-20, 71-32-35.

3. Ი. ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲒᲘᲡ „ᲓᲘᲜᲐᲛᲝᲡ" ᲡᲢᲐᲓᲘᲝᲜᲘ

აკაკი წერეთლის პროსპექტი, 2.

3 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘᲡ

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ

სსრ კავშირის პირველობა („ა" კლასის უმაღლესი ლიგა)

„ᲓᲘᲜᲐᲛᲝ" (თბილისი) — „ᲓᲘᲜᲐᲛᲝ" (კიევი)

დასაწყისი 19 საათზე.

ბილეთების გაყიდვა ტრანზიტებში იწყრმოებს 1 და 2 ოქტომბერს, საერთო გაყიდვა 3 ოქტომბერს „დინამოს" სტადიონის სალაროებში დილის 10 საათიდან.

ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲐ

1 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲞᲠᲝ�გᲠᲐᲛᲘᲗ

10.00 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.10 — დილის ვარჯიში. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.30 — „მხიარული ნოტები". ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.15 — დოკუმენტური ფილმი „გონდვაინის ველური ცხოვრება", 12.20 — სტელევიზიო მრავალსერიიანი მხატვრული ფილმი „ჩრდილები შუადღისას ქრებიან" (მესამე სერია), 17.05 — მოსწავლეთათვის — ფრანგული ენა, 17.45 — უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთათვის — ლექცია ქართულ ენაში, 18.30 — „70-ანი წლების ამერიკა" — „ეშაკარი აღმოსავლეთისაკენ". ფილმი მეშვიდე (ცენტრალური ტელევიზიის 29 სექტემბრის გადაცემის ვიდეოჩანაწერი) ფერადი გამოსახულებით, 19.10 — განცხადებები, 19.15 — „მეენერგეა—სახალხო მეურნეობას", 19.45 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „XX საუკუნის კომუნარი" ძველ დიუკლოს დაბადების მე-80 წლისთავის ჯამი (გადმოცემა მოსკოვიდან), 20.50 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა, 21.20 — „გვწერენ ტელემაყურებლები", 21.35 — კონცერტი. 22.00 — „ეროვნია" — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.35 — „ოქროპირი" სატელევიზი